საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველით ახალ წელს გილოცავთ, მეგობრებო!

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან № 7 (2120) შაბათი, 13 იანვარი, 1996 წელი. ფასი 30 თეთრი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ულოცავენ

საქართველოს პრეზიდენტს ულოცავენ

საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ახალი, 1996 წელი და შობის ბრწყინვალე დღესასწაული გულთბილად მიულოცეს უცხოეთის სახელმწიფოთა მეთაურებმა და უმაღლესმა ხელისუფალმა პირებმა. მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვიქტორ ჩერნომირდინმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა რომან ჰერცოგმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ძიან ძემინმა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ლი პენმა, დანიის დედოფალმა მარგარეტ მეორემ, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ნელსონ მანდელამ, ბელორუსიის პრეზიდენტმა ა. ლუკაშენკომ, მექსიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ერნესტო სედილიო პონსე დე ლეონმა, მოლდოვის პრეზიდენტმა მირჩა სნეგურმა, კორეის პრეზიდენტმა კიმ იუნგ სამმა, სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა, დიდი თავადის ასულმა ლეონიდამ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის აღმასკომის მდივანმა ი. კოროტჩენიამ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის გენერალურმა მდივანმა მ. კროტოვმა, თათრეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ლიხაჩოვმა, ამიერკავკასიაში განლაგებული რუსეთის ჯარების ჯგუფის სარდალმა თევდორე რეუტმა, სანქტ-პეტერბურგის მერმა ანატოლი სობჩაკმა, ყირგიზეთის პრეზიდენტმა ასკარ აკაევმა, რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა, სასაზღვრო ჯარების მთავარსარდლების საბჭოს თავმჯდომარემ ანდრია ნიკოლაევმა.

საკომიტეტო მოსმენა საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების შესახებ

12 იანვარს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის მეგობრობის, კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციასთან დაკავშირებით გაიმართა საკომიტეტო მოსმენა, რომელსაც ასევე ესწრებოდნენ პასუხისმგებელი მუშაკები საგარეო საქმეთა და თავდაცვის სამინისტროებიდან, ჟურნალისტები, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კახა ჩიტაიამ განაცხადა: მოსმენის მიზანია აზრთა გაზიარების საფუძველზე გამოვიმუშაოთ ჩვენი შეხედულება ამ დოკუმენტთან დაკავშირებით. მან გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნება, თუ დოკუმენტი 19 იანვრამდე იქნება რატიფიცირებული და იქვე აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულებაზე მუშაობა ჯერ კიდევ 1992 წელს დაიწყო და ორმხრივ მოლაპარაკებათა რვა რაუნდის შედეგად საბოლოოდ ხელი მოეწერა 1994 წლის 3 თებერვალს თბილისში ბორის ელცინისა და ედუარდ შევარდნაძის მიერ.

საკომიტეტო მოსმენაში მონაწილე საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი დეპარტამენტის თავმჯდომარემ თიმურ ბაქრაძემ განაცხადა, რომ ხელშეკრულების ტექსტი რუსულ ენაზე უფრო სრულყოფილია, ვიდრე ქართულად და ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოება, თუ რა ინტერპრეტაციას მისცემს რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ხელშეკრულების ცალკეულ მუხლებს.

მსჯელობისას პარლამენტარებმა ნესტან კირთაძემ და ზურაბ ნოღაიდელმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ხელშეკრულება მუხლობრივად განიხილათ, რასაც არ დაეთანხმნენ სხვა გამომსვლელები. კერძოდ, პარლამენტარმა რამაზ საყვარელიძემ თქვა, რომ დოკუმენტი მთლიანად განსახილველია და, უწინარესად, ეს უნდა გააკეთოს სპეციალისტებისაგან შემდგარმა სამუშაო ჯგუფმა და შემდეგ წარუდგინოს საზოგადოებას თავისი შეხედულება. ამაზე კახა ჩიტაიამ განაცხადა, რომ მუშაობის ასეთი ფორმა არ შეესაბამება პარლამენტის საკომიტეტო მოსმენის არსს.

გამოითქვა შენიშვნები ხელშეკრულების ცალკეულ მუხლებთან დაკავშირებით. გამომსვლელთა მნიშვნელოვანი ნაწილი მხარს უჭერდა რატიფიცირებას, თუმცა იყო საწინააღმდეგო მოსაზრებანიც.

შესვენების შემდეგ, მსჯელობა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის დახურულ სხდომაზე გაგრძელდა.

გიორგი აგაშიძე,
საქინფორმის კორ.

პარლამენტის კომიტეტებში

11 იანვარს საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარის ზურაბ ცქიტიშვილის ხელმძღვანელობით „საქენერგოს“ დეპარტამენტში გაიმართა ენერგეტიკის დარგის ხელმძღვანელთა საკომიტეტო მოსმენა, რომელშიც საქართველოს სათბობენერგეტიკულ კორპორაციაში შემავალი ყველა უწყების (საქგაზი, საქნავთობპროდუქტი, საქნავთობი, საქნახშირი, საქენერგო) ხელმძღვანელი მონაწილეობდა. განიხილეს საქართველოს ენერგოსისტემაში ელექტროენერგიის გამომუშავების, გადაცემის და სისტემის სათბობენერგეტიკული რესურსებით მომარაგებასთან დაკავშირებული საკითხები. აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს სპეციალურ ენერგეტიკულ კანონმდებლობას, რომელიც დაარეგულირებს როგორც სისტემის ფუნქციონირების წესებს, აგრეთვე ენერგოსისტემის მართვისა და საკუთრების ფორმებს. სათბობენერგეტიკული კომპლექსის წარმომადგენლებმა წამოაყენეს კონკრეტული წინადადებები და მიმართეს საქართველოს კანონმდებლებს. პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტი მოსმენის შედეგებს რეზოლუციით შეაჯამებს და მომავალში შესაბამის კანონპროექტებს შეიტანს პარლამენტში.

• • •

11 იანვარს გამართულ აგრარულ საკითხთა კომიტეტის გაფართოებულ სხდომაზე, რომელსაც უძღვებოდა კომიტეტის თავმჯდომარე როზა ლორთქიფანიძე, განიხილეს „კანონპროექტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“.

განხილვაში მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი ბაკურ გულუა, სხვა აგრარული დარგის ხელმძღვანელები და წამყვანი სპეციალისტები.

კანონპროექტით უნდა განისაზღვროს საადგილმამულო მიწის პოლიტიკა და მოსახლეობისათვის მისი გადაცემის ფორმები, აღინიშნა შეხვედრაზე. გადაწყდა, რომ პროექტი გახდეს მასობრივი მსჯელობის საგანი და მისი განხილვა ეტაპობრივად გაგრძელდეს.

კანონპროექტში შეტანილია შესწორებები და მისი საბოლოო ვარიანტი მზად იქნება თებერვალში.

პარლამენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

14 იანვარი ქართული თეატრის დღეა!

ცხოვრების შუაგულში

146 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში წარმოადგინეს გიორგი ერისთავის პიესა „გაყრა“, რომელმაც სათავე დაუდო ქართულ პროფესიულ თეატრს. წლევანდელი ქართული თეატრის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო ხვალ სწორედ აქ, ხუთი წლის წინათ, იავარქმნილ აწ, უკვე ფენიქსისებრ აღდგენილ შენობაში გაიმართება, სადაც გამოცხადდება საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის ყოველწლიური კონკურსის „სეზონის საუკეთესო სცენური ნაწარმოების“ შედეგები. ამავე დღეს, აღმაშენებლის გამზირზე გაიხსნება დიდი ქართველი დრამატურგის პოლიკარპე კაკაბაძის ძეგლი.

ქართული თეატრის დღეს პანტომიმის სახელმწიფო თეატრი ამირან შალიკაშვილის ხელმძღვანელობით ბაქოში შეხვდება, სადაც პანტომიმის თეატრის საერთაშორისო ფესტივალი იმართება ამ დღეებში. ქართული თეატრის მრავალრიცხოვან ოჯახს, მის თითოეულ წევრს, გულითადად ვულოცავთ პროფესიულ დღეს და ვუსურვებთ ფიზიკურ და სულიერ გამძლეობას, შემდგომ საინტერესო შემოქმედებით ცხოვრებას — ახალ სპექტაკლს, ახალ სახეებს, ახალ სახელებს, რომლითაც ყოველთვის მდიდარი იყო ქართული თეატრი.

ჟურნალ „ოგონიოკიდან“

პირველი პირნი

ედუარდ შევარდნაძე:

„ჩვენი ქორწინება უთანასწორო იყო...“



ედუარდ შევარდნაძე უდავოდ განეკუთვნება პოსტსაბჭოური სივრცის ყველაზე საინტერესო და ყველაზე იდუმალ პოლიტიკოსთა რიცხვს. თავის საიდუმლოებათა ნაწილს საქართველოს ლიდერი უზიარებს „ოგონიოკის“ მკითხველებს საახალწლო ინტერვიუში

— 80-იანი წლების დამლევიდან საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ერთობ რთულად, ზოგჯერ კი დრამატულადაც მიმდინარეობდა. როგორ გგონიათ, რატომ წარიმართა ორი მართლმადიდებელი, სულისკვეთებით ახლობელი კულტურების მატარებელი ერის ურთიერთობა ესოდენ არასახარბიელოდ?

— დრამატიზმი, უდავოდ, იყო. მაგრამ ის მარტო საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში არ ყოფილა. ბევრი ყოფილი მოძმე ხალხი წაეკიდა ერთმანეთს. ეს დასანანია, მაგრამ გასაოცარი სულაც არ არის. ამდენი ხნის ერთობლივი ცხოვრების შემდეგ ძალზე ძნელია, მშვიდობიანი გაყრის იმედი იქონიო. მეტადრე, თუ ქორწინება უთანასწორო იყო, ხოლო განქორწინება ნიშნავს არა ურთიერთობის სრულ შეწყვეტას, არამედ ახალი ცივილიზებული ერთობლივი ცხოვრების აშენების საჭიროებას.

იყო სუბიექტური ხასიათის მიზეზებიც, ჩვენს რესპუბლიკაში ხელისუფლების სათავეში მოექცნენ ადამიანები, რომლებსაც, მეტი რომ არა ვთქვათ რა, პრიმიტიულად ესმოდათ საქართველოს ადგილი მსოფლიო პოლიტიკურ პროცესში. პირველ რიგში მათ ვერ შეიგნეს, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი სამშობლოს ხვედრში რუსეთის ფაქტორს, სწორედ ამას მოჰყვა ძლიერ მეზობელთან კონფლიქტი. დაძაბულობამ საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში პიკს მიაღწია. ამან თავისი კვალი დატოვა საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი ნაწილის შეგნებაში მას შემდეგაც კი, რაც საქართველოში დაემხო პროვინციულ-ფაშისტური რეჟიმი. სწორედ ამიტომ ახალ ხელისუფლებასაც დიდხანს გაუჭირდა რადიკალური ნაბიჯების გადადგმა რუსეთთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად...

დღეს ჩვენ ამ ურთიერთობას პრიორიტეტულ, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ავიღოთ, თუნდაც ორი ყველაზე რთული პრობლემა იმათგან, რომლებიც საერთოდ შეიძლება წარმოიშვას მეზობელ სახელმწიფოებს შორის — საზღვრების დაცვა და სამხედრო ბაზები, საქართველოს ხელმძღვანელობამ ეს პრობლემები რუსეთის ინტერესების სრული გათვალისწინებით გადაწყვიტა. ჩვენ დავთანხმდით ამას ორ ქვეყანას შორის ნდობის მიღწევის გულისათვის.

— ქართველი კაცისათვის არ არსებობს აფხაზეთზე უფრო მტკივნეული პრობლემა... 1978 წელს აფხაზეთში ანტიქართული მოვლენების დროს თქვენ, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სოხუმში ჩაბრძანდით და შეხვდით გაფიცულ აფხაზ ინტელიგენციას, შეპირდით, რომ ყველა მოთხოვნას შეუსრულებდით. ასე მიიღო აფხაზმა ხალხმა, რომელიც იმ დროს დაახლოებით ოთხმოცი ათას კაცს შეადგენდა, თავისი უნივერსიტეტი, აფხაზურენოვანი ტელევიზია, აფხაზური ენისა და ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ყოველგვარი შემოქმედებითი კავშირები, რვა აფხაზურენოვანი ჟურნალ-გაზეთი და სხვ. გაფართოვდა აფხაზური ენის შესწავლა, აფხაზებს გაცილებით მეტი დიდი სახელმწიფო თანამდებობანი ეკავათ, ვიდრე ქართველებს, რომლებიც ავტონომიაში მათ სიმრავლით ერთისამად სჭარბობდნენ... ამ ცოტა ხნის წინ თბილისში გამოქვეყნდა მონოგრაფია, რომელშიც დოკუმენტების, ფაქტების, ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე ნაჩვენებია, რომ პრაქტიკულად, საბჭოთა კავშირის ხალხთაგან არც ერთს, მათ შორის, არც ქართველებს, და არც რუსებს, არ ჰქონიათ იმდენი პრივილეგიები, რამდენიც აფხაზებს. და მაინც, აფხაზეთში ჩვენ ყოველივე ამის პასუხად მივიღეთ სეპარატიზმი, საშინელი, ფანატიკური სეპარატიზმი, რატომ?

— დავიწყებ იმით, რომ სულაც არ ვნანობ ყოველივეს, რაც აფხაზეთის, აფხაზი ხალხის ეკონომიკური და კულტურული აღმავლობისათვის გამიკეთებია. აფხაზთა კულტურული თავისთავადობის შენარჩუნება ქართველების, როგორც უფრო მრავალრიცხოვანი ხალხის მოვალეობაა.

რაც შეეხება სეპარატიზმს, შესანიშნავად ვიცი, როგორ აღვივებდნენ მას ყველაზე რეაქციული ძალები ათწლეულების განმავლობაში... ამიტომ არის, რომ სეპარატისტთა მოთავეები ასე უტიფრად იქცეოდნენ და იქცევიან.

და კიდევ, მინდა გავუსვა ხაზი: 1992 წლის აგვისტოში, ქართული ჯარი აფხაზეთში შევიდა კომუნიკაციების დაცვის მიზნით. მე მოვითხოვდი, რომ სამხედროები არ შესულიყვნენ დასახლებულ პუნქტებში, მაგრამ იმ დროს რეალური ძალა იმათ ხელში იყო, ვინც სხვაგვარად აზროვნებდა...

აფხაზეთის საკითხი საქართველოსა და რუსეთის მომავალი ურთიერთობის ქვაკუთხედია. თუკი რუსეთში ვინმე იმედოვნებს, რომ შეძლებს წაგლიჯოს აფხაზეთი საქართველოს, ან რომ აფხაზეთი მხოლოდ ფორმალურად დარჩება საქართველოს შემადგენლობაში, მათ უნდა იცოდნენ, რომ ასეთი მიდგომა დაანგრევს და დაღუპავს ჩვენი ორი ქვეყნის მეგობრობას. ბორის ელცინს ესმის ეს და ყოველ ღონეს ხმარობს, რათა აფხაზეთი საქართველოს ორგანულ ნაწილად დარჩეს. მაგრამ, სამწუხაროდ, რუსეთში არიან ადამიანები, რომლებიც სხვაგვარად ფიქრობენ. ისინი რომ არა, მაშინ არც იქნება დაბრკოლებანი ორი მართლმადიდებელი ერის — ქართველებისა და რუსების საუკუნოვანი მეგობრობის გზაზე.

ОГОНЁК

ესაუბრა
თემურ მირიანაშვილი.
ჟურნალი „ოგონიოკი“, № 2, 1996 წ.

გაზეთ „სევერნი კავკაზიდან“

დრო იხელთეს...

ნალჩიკში დარწმუნებულნი არიან, რომ აფხაზეთის რესპუბლიკა კალთას აფარებს დამნაშავეებს, ხოლო სოხუმში მიაჩნიათ, რომ კანონიერად იქცევიან

აფხაზეთში ერთ კვირას იმყოფებოდა ყაბარდო-ბალყარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც შედიოდნენ სისხლის სამართლის სამძებროს, განსაკუთრებული დანიშნულების მილიციის რაზმის — „ომონის“ და სახელმწიფო ავტოინსპექციის თანამშრომლები. ჯგუფის ამოცანას შეადგენდა ყაბარდო-ბალყარეთის იმ მოქალაქეთა დაკავება და ეტაპირება რესპუბლიკაში, რომლებიც აფხაზეთში იმალებიან და ეჭვმიტანილნი არიან სხვადასხვა დანაშაულობათა ჩადენაში.

22 დეკემბერს შინაგან საქმეთა ადგილობრივი განყოფილების თანამშრომლების ხელშეწყობით გულრიფშის რაიონის სოფელ ბაბუშერაში, სახლში, რომელიც დაზუსტებული მონაცემებით მას ეკუთვნის, დაკავებულ იქნა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის მოქალაქე 53 წლის ზაურ ბეწუკოვი. მას სახლში უპოვეს დეგტიაროვის ხელის ტყვიამფრქვევი, ორი „რგ-46“ ხელყუმბარა და სხვადასხვა კალიბრის ვაზნებით სავსე ჯარისკაცის ზურგჩანთა.

1994 წლის აპრილში ზ. ბეწუკოვი, წინათ არაერთგზის ნასამართლევი და სასამართლოს მიერ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად მიჩნეული, ყაბარდო-ბალყარეთში დააკავეს თვითნაკეთი პისტოლეტითა და 7 ვაზნით. დაადებინეს ხელწერილი, რომ ყაბარდო-ბალყარეთიდან ფეხს არ მოიცვლიდა, მაგრამ ბეწუკოვი გაიქცა და აფხაზეთს შეაფარა თავი.

23 დეკემბერს სოხუმში კომკავშირის ქუჩაზე, სახლში, სადაც თავის ბერძენ ცოლთან და სიმამრთან ერთად ცხოვრობდა, სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა აიყვანეს ანზორ მახოვი. მან სამძებროს მუშაკებს წინააღმდეგობა გაუწია და სცადა აეფეთქებინა კუმულაციური ხელყუმბარა. სახლში მახოვს აგრეთვე, უპოვეს „რგ-46“ ხელყუმბარები, „ნაგანის“ სისტემის რევოლვერი და უამრავი ვაზნა.

ანზორ მახოვი იძებნებოდა ყაბარდო-ბალყარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და პროკურატურის მიერ ყაჩაღური თავდასხმებისა და მკვლელობებისათვის. ორ თანამზრახველთან ერთად 1992 წლის ნოემბერში იგი თავს დაესხა „ვოლგის“ მძღოლს, ტაქსისტ ნ. ტიკაევს, რომელიც შემდეგ მოკლა. იმავე წლის დეკემბერში მანვე მოკლა „ოპელ რეკორდის“ პატრონი ზ. კოძოკოვი. მოგვიანებით ა. მახოვის ერთ-ერთი თანამზრახველი ავტოკატასტროფაში დაიღუპა, მეორეს კი მსჯავრი დაედო და ამჟამად სასჯელს იხდის. რაც შეეხება ა. მახოვს, საქმე მისი არყოფნის გამო ცალკე წარმოებად გამოიყო.

ორივე დაკავებული მოათავსეს გუდაუთის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების დროებით პატიმრობის იზოლატორში. ასალებები იყო მხოლოდ ნებართვა აფხაზთა ხელისუფალთაგან მათი ეტაპირებისათვის. მაგრამ გუდაუთის შსს განყოფილებას ალყა შემოარტყა 25-30-კაციანმა ჯგუფმა, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ავტომატებით, ტყვიამფრქვევებითა და ყუმბარსატყორცნებით. მათ განაცხადეს, რომ მოხალისეთა გაერთიანებისა და კავკასიის ხალხთა კონფედერაციის წარმომადგენლები არიან, ხოლო აფხაზეთის რესპუბლიკის პროკურატურამ მოითხოვა დამატებითი დოკუმენტები დაკავებულთა ბრალეულობის დასამტკიცებლად, ნალჩიკიდან, სოხუმში გაიგზავნა რამდენიმე თა[illegible]. ყაბარდო-ბალყარეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ხაჩიმ შოგენოვი ტელეფონით ესაუბრა აფხაზეთის გენერალურ პროკურორს ანრი ჯერგენიას, მაგრამ ყველაფერი ძველებურად რჩებოდა.

26 დეკემბერს ნალჩიკიდან სოხუმში გაიგზავნა ყაბარდო-ბალყარეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს კიდევ ორი თანამშრომელი, რომლებმაც ჩაიტანეს მთელი დოკუმენტები. მაგრამ აფხაზეთის სამართალდამცველმა ორგანოებმა ეს საბუთებიც არ მიიჩნიეს საკმარისად. სამართალდამცველი ორგანოების ხელმძღვანელებთან. აგრეთვე აფხაზეთის პრეზიდენტთან უნაყოფო შეხვედრების შემდეგ ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ნალჩიკში გაწბილებულნი გააბრუნეს, ხოლო დაკავებული დამნაშავენი ა. მახოვი და ზ. ბეწუკოვი გაათავისუფლეს.

არადა, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკასა და აფხაზეთის რესპუბლიკას დადებული აქვთ მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელსაც 1995 წელს მოაწერეს ხელი ახალ ათონში ორი რესპუბლიკის პრეზიდენტებმა. გარდა ამისა, შინაგან საქმეთა მინისტრებს გივი აგრბას და ხაჩიმ შოგენოვს ხელმოწერილი აქვთ შეთანხმება, რომელიც ითვალისწინებს თანამოქმედებას ოპერატიულ-საძიებო ღონისძიებათა განხორციელებაში.

აფხაზეთის რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა ანრი ჯერგენიამ, რომელსაც კომენტარი ვთხოვეთ ჩვენი გაზეთისათვის, განმარტა, რომ ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკიდან არ მოსულა დადგენილებანი ბრალდებულთა დაპატიმრების, ეტაპირებისა და პასუხისგებაში მიცემის შესახებ, და, რაც მთავარია,— ცნობები სისხლის სამართლის საქმის გარემოებებითა და დაკავებულთა ბრალეულობის მტკიცებულებებით.

გარდა ამისა, ა. ჯერგენიას აზრით, დამნაშავეთა გადაცემის საკითხი უნდა გადაწყდეს ფედერალური ორგანოების, ანუ რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის აპარატის მეშვეობით. მან აგრეთვე ხაზი გაუსვა, რომ მართალია, ორი ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროებს შორის არსებობს შეთანხმება, მაგრამ ასეთი მორიგება არ არსებობს პროკურატურებს შორის. არადა, მხოლოდ პროკურატურა იძლევა დამნაშავის გადაცემის სანქციას.

„სევერნი კავკაზის“ კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რა როლი შეასრულა მოხალისეთა ზემოქმედებამ, ანრი ჯერგენიამ განაცხადა, რომ არავითარი ზემოქმედება არ ყოფილა. მათ მომმართეს თხოვნით ყველაფერი გამერკვია, მაგრამ მე სიტუაციას სამართლებრივი თვალსაზრისით განვიხილავდი.

დასასრულ ა. ჯერგენიამ დასძინა, რომ მთელი საჭირო საბუთების წარდგენის შემთხვევაში ყველა ეჭვმიტანილ პირს გადასცემენ ყაბარდო-ბალყარეთის სამართალდამცველ ორგანოებს.

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლებმა კომენტარზე უარი თქვეს, მაგრამ „სევერნი კავკაზის“ კორესპონდენტისათვის ცნობილი გახდა, რომ აფხაზთა მხარეს წარდგენილი ჰქონდა ყველა დოკუმენტი, რომლებსაც აფხაზეთის გენერალური პროკურორი მოითხოვდა. რაც შეეხება დაკავებულთა ბრალეულობის დამამტკიცებელ საბუთებს, ბრალეულობას სასამართლო დაამტკიცებს. გარდა ამისა, სისხლის სამართლის სამძებროს ცალკეულ თანამშრომელთა აზრით, როდესაც მეგობრობის ხელშეკრულებას და ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებას დებდნენ, აფხაზეთში მაშინ არ გახსენებიათ რუსეთის ფედერაციის ფედერალური ორგანოები, და მაშასადამე, მომხდარი ამბავი მიღწეულ მორიგებათა დარღვევას წარმოადგენს.

„სევერნი კავკაზის“ კორესპონდენტის მიერ ნალჩიკსა და სოხუმში სხვადასხვა წყაროებიდან მოპოვებული მონაცემების მიხედვით, მომხდარის ძირითადი მიზეზია ის გარემოება, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელობაზე დიდი გავლენა აქვს ჩრდილოკავკასიელ მოხალისეთა მცირერიცხოვან ჯგუფს, რომელიც დღესაც აფხაზეთის რესპუბლიკაშია დარჩენილი. სწორედ მათ მოქმედებას და არა — სამართლებრივ პრობლემებს მოჰყვა ასეთი შედეგი. ამასთანავე იგივე წყაროების ცნობებიდან ირკვევა, რომ მოხალისეთა სიებში არც სოხუმში და არც ნალჩიკში ა. მახოვი და ზ. ბეწუკოვი არ ფიგურირებენ. არ ფიგურირებენ იმიტომ, რომ ისინი აფხაზეთში მოხალისეებად კი არ ჩავიდნენ, არამედ გაიქცნენ, ვინაიდან მილიციას ემალებოდნენ. პირველი — შუა ომის დროს, ხოლო მეორე — ომის მიწურულში.

ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიაჩნია, რომ არ შეიძლება „ერთ ტაფაში მოაქციო ისინი, ვინც აფხაზეთის დასაცავად ჩავიდნენ, და ისინი, ვინც მართლმსაჯულებას გაექცა და აფხაზეთს აფარებს თავს“.

ინფორმაცია აფხაზეთის რესპუბლიკაში მომხდარი ამბების შესახებ წარედგინა ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს, რომელიც, ალბათ, ვლადისლავ არძინბასთან ერთად ყველაფერს გაარკვევს.

ამასობაში კი ზოგიერთი ცნობების თანახმად, ანზორ მახოვი, რომელსაც ბერძნის ქალი ჰყავს ცოლად, აპირებს ემიგრაციაში წავიდეს მეუღლის ისტორიულ სამშობლოში.

ო. ჰუსეინოვი,
გაზ. „სევერნი კავკაზ“, № 1.
1996 წლის იანვარი.

ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოველკვირეული გაზეთი გამოდის 1990 წლის ნოემბრიდან. რედაქციის შტაბ-ბინა მდებარეობს ქ. ნალჩიკში (ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა) საკორესპონდენტო პუნქტები აქვს დონის როსტოვში, მაიკოპში, სოჭში, სტავროპოლში, პიატიგორსკში, ჩერქესკში, ნაზრანში, ბაქოში, ვლადიკავკაზში, გროზნოში, მახაჩყალაში. დამფუძნებელია გ. კაზიხანოვა, მთავარი რედაქტორი — ო. კალაშნიკოვა. აქვს საკუთარი კომპიუტერული ცენტრი.

ტირაჟი — 90 000-მდე ეგზემპლარი.

მოცულობა — 8-დან 16 გვერდამდე.

СК
СЕВЕРНЫЙ КАВКАЗ
РЕГИОНАЛЬНАЯ ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКАЯ ГАЗЕТА

ჩვენი კომენტარი:

სტატიაში მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ სოხუმელი სეპარატისტების მიერ კონტროლირებული საქართველოს ტერიტორიის ნაწილი დიდი ხანია, კრიმინოგენური სამყაროს წარმომადგენელთა მყუდრო თავშესაფრად იქცა. განსაკუთრებით ეს ეხება ჩრდილოეთ კავკასიიდან, კერძოდ, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მყოფ ყაბარდო-ბალყარეთიდან გამოქცეულ დამნაშავეებს, რომლებიც ე. წ. მოხალისეთა ნიღაბამოფარებულნი აფხაზეთში ხსნას და დამცველებს ეძებენ.

როგორც ჩანს, ბოლო ხანებში ბზარი უჩნდება არძინბას ხელისუფლებისა და ყაბარდო-ბალყარეთის „მეგობრულ და მტკიცე“ ურთიერთობებს. ამ მხრივ, ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ უთანხმოების დამადასტურებელი მასალები ქვეყნდება ქ. ნალჩიკში გამომავალ საკმაოდ გავლენიან გაზეთში.

რაც შეეხება ე. წ. მოხალისეების ზეწოლას სეპარატისტების ხელმძღვანელობაზე და „სამართალდამცავ“ ორგანოებზე, ეს გასაკვირი არ უნდა იყოს. არძინბას რეჟიმს მთიელთა კონფედერატების დახმარება დიდი ხანია მუდმივ „კბილის ტკივილად“ გადაექცა, მაგრამ ისინი ვერ მოუშორებია და იძულებულია, მათ კვლავ რევერანსები უკეთოს, რაც თავის მხრივ, არა მარტო ართულებს ურთიერთობას მეზობლებთან, არამედ საკუთარ თავსაც ჭაობში სულ უფრო ღრმად ითრევს.

და, ბოლოს, საჭიროა საერთოდ ითქვას:

რუსეთის სამხრეთში არსებული ფედერაციის სუბიექტების აფხაზ სეპარატისტებთან ურთიერთობის ფონზე, კვლავ დღის წესრიგში მწვავედ დგას საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვის აუცილებლობა. ცნობილია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონი, განსაკუთრებით მისი ცენტრალური და დასავლეთი ნაწილი, ყოველთვის იყო საქართველოს ინტერესების ზონაში პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით. დღეს კი ტრადიციული კურსი მიუტევებლად უგულებელყოფილია, რასაც ზიანის მეტი არაფერი მოაქვს. საქართველოსათვის თითქმის უცნობია მეზობელ ყაბარდო-ბალყარეთში, ყარაჩაი-ჩერქეზეთში და ადიღეში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რომლებიც ხშირად მნიშვნელოვან და, ამავე დროს, ჩვენთვის არასასურველ გავლენას ახდენენ აფხაზეთზეც. სრული საინფორმაციო ვაკუუმის გამო, შეუძლებელია საპასუხო ოპერატიული რეაგირებისა და დემარშების მოხდენა.

ვფიქრობთ, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში მიღებული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით, აუცილებელია ასეთი მდგომარეობის გამოსწორება, აფხაზი სეპარატისტების იზოლაციაში მოქცევის მიზნით. არ არის გამორიცხული, რომ ეს უნდა განხორციელდეს რუსეთის მთავრობის წინაშე გარკვეულ მოთხოვნათა წამოყენების გზითაც.

სიმონ კილაძე,
ჯონი კვიციანი,
პარლამენტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლები.

სახელმწიფო მინისტრმა მიიღო დიდი ბრიტანეთის ელჩი

— საქართველოს მთავრობამ დაამთავრა ბიუჯეტის განხილვა და პროექტი უკვე გადაეცა პარლამენტს. კომიტეტებში განხილვის შემდეგ, თებერვლის დასაწყისში პარლამენტის პლენარული სხდომა შეუდგება ქვეყნის მთავარი კანონის განსჯა-განხილვას, ეს არის ბოლო დღეებში საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში / ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა, — განაცხადა საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა ნიკო ლეკიშვილმა 12 იანვარს მისი უდიდებულესობის ბრიტანეთის დედოფლის ელჩთან სტივენ ნეშთან შეხვედრის დროს.

შეხვედრაზე შეეხნენ ქვეყნის ბიუჯეტის ფორმირების ახალ პრინციპებს, მათ შორის, ცვლილებებს გადასახადების შეფარდებაში, გადასახადების შეღავათების გაუქმებას და სხვა საკითხებს, რომლებიც მსოფლიო სავალუტო ფონდის რეკომენდაციებიდან გამომდინარეობს და უფრო სრულად ითვალისწინებს საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნებს.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ენერგეტიკის პრობლემებს — მოსახლეობის კომუნალური ენერგომომსახურებით დაწყებული ქვეყნის ენერგოტევადი მრეწველობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხებით დამთავრებული. განიხილეს ამ სფეროში ინგლისის მხარის მონაწილეობის კონკრეტული საკითხები.

შეხვედრის დროს დაწვრილებით განიხილეს საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყნის, განვითარების პერსპექტივა.

შეეხნენ ინგლისის მხარის საინვესტიციო და ტექნიკურ მონაწილეობას საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში.

ელჩმა სთხოვა ბატონ ნიკო ლეკიშვილს, რომ მას შემდეგ, რაც იგი თავის სამუშაო წელიწადს დაგეგმავს, გაითვალისწინოს ოფიციალური ვიზიტი დიდ ბრიტანეთში.

სახელმწიფო მინისტრმა მადლობით მიიღო ეს წინადადება.

მხარს უჭერენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა გენერალ-ლეიტენანტმა ვარდიკო ნადიბაიძემ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში უილიამ კორტნი და სამხედრო ატაშე, მაიორი ჯეიმს ბაუკრომტი. შეხვედრაზე განიხილეს ორმხრივი საინტერესო საკითხები, განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებასა და 19 იანვარს მოსკოვის შეხვედრის მნიშვნელობას.

თავდაცვის მინისტრმა ვარდიკო ნადიბაიძემ აღნიშნა, რომ ქართველი სამხედროები მხარს უჭერენ კონფლიქტის პოლიტიკური გზით მოწესრიგების პროცესის გაგრძელებას და გამოთქვა რწმენა, რომ ამ თვალსაზრისით, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფო მეთაურთა შეხვედრა გადამწყვეტი გახდება.

უილიამ კორტნიმ განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და მიესალმება რესპუბლიკის ხელისუფლების დაბალანსებულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, რაც ხელს უწყობს რეგიონში უსაფრთხოების განმტკიცებას.

შეხვედრაზე აგრეთვე, იმსჯელეს საქართველოსა და ამერიკის სამხედროებს შორის კონტაქტების გაღრმავების საკითხებზე.

საქინფორმი.

საქართველოს პრეზიდენტის
ბრძანებულება № 118

1996 წლის 11 იანვარი ქ. თბილისი

მ. უკლებას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს მიხეილ უკლება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის
დადგენილება

დეპუტატ რ. დოლიძის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შემადგენლობის შესახებ

საქართველოს პარლამენტი ადგენს:

დეპუტატ რ. დოლიძის წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის შემადგენლობა განისაზღვროს 12 წევრით:

ირაკლი ბათიაშვილი — დამოუკიდებელი დეპუტატი.
მალხაზ ბარამიძე — ფრაქცია „აფხაზეთი".
რევაზ დიასამიძე — ფრაქცია „აღორძინება".
დავით ზეიკიძე — ფრაქცია „მაჟორიტარი".
ვახტანგ ტალახაძე — ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატი".
ავთანდილ ტუებუჩავა — ფრაქცია „მაჟორიტარი".
ზურაბ ქორიძე — (თავმჯდომარის მოადგილე), ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი".
ზურაბ ჩხეიძე — ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი".
ანზორ წოწონავა — (თავმჯდომარე), ფრაქცია „აფხაზეთი".
ნოე ხოზრევანიძე — ფრაქცია „აღორძინება".
თამაზ ხუხუნაშვილი — ფრაქცია „ეროვნულ-დემოკრატი".
გიორგი ჯაყელი — ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირი".

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
ზურაბ ჟვანია.

თბილისი, 1995 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის
ბრძანება №19

10 იანვარი, 1996 წელი ქ. თბილისი

საქართველოს სამხედრო გზის ზამთრის პერიოდში ფუნქციონირების უზრუნველყოფის შესახებ

აღინიშნოს, რომ საქართველოს სამხედრო გზა, რომელიც გადის ურთულეს რელიეფურ და კლიმატურ პირობებში, არის ერთ-ერთი ძირითადი მარშრუტი, რომლითაც ხდება რუსეთის ფედერაციასა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის ავტოტრანსპორტით ტვირთების გადაზიდვა და მგზავრთა გადაყვანა.

ზამთრის პერიოდში ამ გზაზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის შეწყვეტა მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზარალს აყენებს როგორც საქართველოს, ისე მის მოსაზღვრე რესპუბლიკებს, განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია ყაზბეგის რაიონი, რომელიც გზის ჩაკეტვისას ფაქტობრივად სწყდება რესპუბლიკას.

საქართველოს სამხედრო გზის ზამთრის პერიოდში ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით:

1. დაევალოს სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზას":

— ზამთრის პერიოდში საქართველოს სამხედრო გზის ჯვრის უღელტეხილზე არაზვავსაშიშ პერიოდში უზრუნველყოს ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, გარდა ავტობუსებისა და ყველა სახის უნაგირა მისაბმელიანი სატვირთო ავტომანქანებისა;

— „საქმთავარჰიდრომეტის" მიერ გადმოცემული ცნობის საფუძველზე, მოსალოდნელი ზვავსაშიშროების, ქარბუქის და სხვა სტიქიური მოვლენების შესახებ, დაუყოვნებლივ გადასცეს ინფორმაცია გზის ჩაკეტვაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოს. უზრუნველყოს საუღელტეხილო მონაკვეთზე დარჩენილი ავტომანქანების, მგზავრების და მძღოლების გამოყვანა.

2. „საქმთავარჰიდრომეტმა" მოსალოდნელი ზვავსაშიშროების, ქარბუქისა და სხვა სტიქიური მოვლენების შესახებ დაუყოვნებლივ გადასცეს ცნობა კონცერნ „საქავტოგზას", საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოსა და მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციას.

3. დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მთავარ სამმართველოს:

— ზვავსაშიშროების, ქარბუქისა და სხვა სტიქიური მოვლენების შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ შეწყვიტოს ჯვრის უღელტეხილზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა;

— ზამთრის პერიოდში საუღელტეხილო მონაკვეთზე არ დაუშვას იმ ავტოტრანსპორტის მოძრაობა, რომელიც აღჭურვილი არ არის მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით, აკრძალოს ავტობუსებისა და უნაგირა მისაბმელიანი ავტოტრანსპორტის მოძრაობა;

— სახელმწიფო კონცერნ „საქავტოგზასთან" ერთად უზრუნველყოს საუღელტეხილო მონაკვეთზე დარჩენილი ავტომანქანების, მგზავრებისა და მძღოლების გამოყვანა.

4. საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრომ უზრუნველყოს სადღეღამისო სატელეფონო კავშირი დუშეთის, ყაზბეგის, ფასანაურისა და გუდაურის საფოსტო განყოფილებებთან.

5. საქენერგოს დეპარტამენტმა ჯვრის უღელტეხილზე განლაგებული სამსახურები შეუფერხებლად მოამარაგოს ელექტროენერგიით.

6. საქართველოს სამხედრო გზაზე სტიქიური მოვლენების დროს ყველა სახის სამუშაოების კოორდინაცია დაევალოს მცხეთა-მთიანეთის სამხარეო ადმინისტრაციას.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ყაზბეგის რაიონთან სატრანსპორტო კავშირის უზრუნველსაყოფად საქართველოს სამხედრო გზის ჯვრის უღელტეხილის მონაკვეთის ზამთრის პერიოდში შენახვის ღონისძიებების შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 12 დეკემბრის № 664 დადგენილება.

ნ. ლეკიშვილი.

გვეხმარებიან

დიდი შვიდეულის წევრი ქვეყნების ელექტროკომპანიის გაერთიანება — საქართველოს

ცნობილია, თუ რა მძიმე მდგომარეობაშია დღეს საქართველოს ენერგეტიკა. ამ ენერგოკრიზისიდან თავის დაღწევაში მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია გვეხმარება. მათ შორის, აღსანიშნავია ის პროგრამები, რომლებსაც ახორციელებენ ევროგაერთიანება, მსოფლიო ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო და სხვები.

ორი წლის წინათ, ე. შევარდნაძის ფონდმა „დემოკრატია და აღორძინება" იუნესკოს მეშვეობით დახმარებისათვის მიმართა დიდი შვიდეულის წევრი ქვეყნების მიერ შექმნილი უდიდესი ელექტროკომპანიების გაერთიანებას „ე-7"-ს. განხორციელდა ამ გაერთიანებიდან ექსპერტების (ფრანგი, კანადელი, იტალიელი) ჩამოყვანა საქართველოში, რომლებმაც შეისწავლეს საერთო ვითარება, დაიდო მემორანდუმი „ე-7" — საქენერგო — ენკოს" შორის ურთიერთთანამშრომლობის თაობაზე ისეთ საკითხებში, როგორიცაა ენგურის კაშხალისა და სადგურის მდგომარეობის გამოკვლევა (განხორციელდა 1995 წლის აპრილში); საერთაშორისო სემინარის მოწყობა ენერგეტიკულ სექტორში შესაძლო სტრუქტურული ცვლილებების სხვადასხვა ვარიანტების განხილვის მიზნით (გაიმართება 1996 წლის თებერვალში); ქართველი სპეციალისტების პროფესიული დაოსტატება; დასავლეთიდან ინვესტიციების მოზიდვაში დახმარება; ენერგიის არატრადიციული წყაროების გამოყენების განხორციელებაში დახმარება და სხვ.

„ე-7-ის საქართველოსათვის დახმარების პროგრამას წარმართავს საფრანგეთის ელექტროკომპანია, საქართველოს მხრიდან — საქენერგო და ე. შევარდნაძის ფონდის „დემოკრატია და აღორძინების" მიერ დაფუძნებული საერთაშორისო ენერგეტიკული ცენტრი — ენკო. აღსანიშნავია, იუნესკოს ქმედითი მონაწილეობა ამ თანამშრომლობაში და ის დიდი დახმარება, რომელსაც იჩენს მისიების წარმატებით განხორციელებისათვის საფრანგეთის საელჩო საქართველოში და პირადად ელჩი ბერნარ ფასიე.

უცხოელმა ექსპერტებმა ქართველ კოლეგებთან (საქენერგო, ენერგეტიკის ინსტიტუტი, ჰიდროპროექტი) ერთად მოამზადეს ენგურის კაშხალისა და ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაციისათვის საჭირო, როგორც გადაუდებელი, ისე საშუალო და გრძელვადიანი ღონისძიებების განხორციელების პროგრამა.

დაინტერესებული და ნაყოფიერი თანამშრომლობის ნათელი გამოხატულებაა 1995 წლის 31 დეკემბერს საფრანგეთის ელექტროკომპანიის მიერ უსასყიდლოდ გამოგზავნილი 60 ტონა ტურბინის ზეთის ჩამოტანა საქართველოში.

საქართველოს მთავრობამ განიხილა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი

11 იანვარს მუშაობა გააგრძელა საქართველოს მთავრობის სხდომამ, რომელიც იხილავდა 1996 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს. სხდომაზე კვლავ დაეთმო დრო კამათსა და განხილვას, რომლის დროსაც ერთხელ კიდევ ზედმიწევნით შეჯერდა პოზიციები, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგებისა თუ ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილი წინადადებები და მოსაზრებები.

შემუშავებულ დოკუმენტში მაქსიმალურად აისახა ხელისუფლების სტრუქტურაში მომხდარი ძირეული ცვლილებები, კერძოდ, მართვის ვერტიკალური ფორმების ჰორიზონტალურით შეცვლა, რამაც წარმოდგენილი პროექტი აქცია პროგრესულ დოკუმენტად, რომელშიც მოხდა არა მხოლოდ ციფრების კონსტატაცია, არამედ აისახა ის ძირითადი მიმართულებებიც, რომლებიც განსაზღვრავენ ქვეყნის სახალხო მეურნეობის თითოეული დარგის განვითარების პრინციპებს.

რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის დავით იაკობიძის სიტყვაში შეჯამდა ბიუჯეტის პროექტის რამდენიმედღიანი განხილვა. საბოლოოდ, სხდომას წარედგინა სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომლის საშემოსავლო ნაწილი ითვალისწინებს 555 მილიონ ლარს, ხარჯების ნაწილი კი — 772 მილიონს. ამასთან, ხარჯების ნაწილი რეალიზებული იქნება ახალი მექანიზმის — სახელმწიფო ხაზინის მეშვეობით. 217-მილიონიანი დეფიციტის შევსება ნავარაუდევია როგორც შიდა, ასევე საგარეო შემოსავლებიდან. პროექტში გამოკვეთილია პრიორიტეტული მიმართულებები, მათ შორის, მოსახლეობია სოციალური დაცვა, საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელება, საგარეო და საშინაო ვალების მომსახურება და ა. შ. ერთი სიტყვით, წარმოდგენილ დოკუმენტში დამაკმაყოფილებლად არის გადაჭრილი არა მარტო ჩვენი, არამედ ნებისმიერი ქვეყნისათვის ერთ-ერთი ურთულესი — საბიუჯეტო მოწყობის — პრობლემა. აღსანიშნავია, რომ მოხერხდა ამ ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხის ტერიტორიული ერთეულებისა და ცენტრალური ბიუჯეტების პრობლემების შეჯერება. ეს მეტყველებს იმაზე, რომ მიღწეულია გარკვეული პროგრესი ბიუჯეტის შედგენის კულტურის თვალსაზრისითაც.

თუმცა, ბიუჯეტის აღსრულების პროცესში სამომავლოდ გარკვეული კორექტივები მაინც არის მოსალოდნელი. სახელმწიფო მინისტრის ნიკო ლეკიშვილის მოსაზრებით, მომავალი ბიუჯეტი წინასწარი შეთანხმების პრინციპით უნდა განისაზღვროს, რაც გამორიცხავს უკვე შედგენილი და აწყობილი დოკუმენტის ძირეულ შესწორებებს.

ახალი ბიუჯეტის თავისებურებებზე, რომლებმაც განსაზღვრეს განხილვის სპეციფიკა, მიაპყრო ყურადღება თავის დასკვნით სიტყვაში ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ. ამ თავისებურებებმა, რომლებიც გამოიწვია ახალმა მიდგომებმა, საბაზრო ეკონომიკის საფუძვლების დამკვიდრებამ, განაპირობა განხილვის ერთგვარად სემინარული ხასიათი, რაც, პრეზიდენტის აზრით, ამკვიდრებს იმ აზრს, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფო ვართ, ხოლო სახელმწიფოს აქვს თავისი აუცილებელი ატრიბუტები, რომლებიც სერიოზულ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

— ჩვენი ბედნიერებაა, რომ საქართველო რეფორმების გზაზე მდგარ ქვეყნად აღიარეს, — თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ.— ეს ჩვენს მეგობარ ქვეყნებს აძლევს საშუალებას, დაგვეხმარონ და შეგვავსონ ბიუჯეტის დეფიციტი. მაგრამ ეს არ იქნება მუდმივმოქმედი ფაქტორი და დარწმუნებული ვარ, რომ 2-3 წლის შემდეგ ჩვენ უკვე საკუთარი შემოსავლების წყალობით მივაღწევთ უდეფიციტო ბიუჯეტს.

ეკონომიკური წინსვლა შარშანდელთან შედარებით აშკარაა და მასზე უკეთესი სტიმული საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის, როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, არ არსებობს.

როგორც ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ აღნიშნა, ბიუჯეტის პროექტის საპარლამენტო განხილვის პროცედურა საკმაო სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, იმისათვის, რომ საპარლამენტო განხილვის დროს მოსალოდნელი კონფრონტაცია და ძირეული შესწორებები თავიდან იქნეს აცილებული, პრეზიდენტის აზრით, საჭიროა პროექტი თავდაპირველად საპარლამენტო კომიტეტებმა შეისწავლონ და მხოლოდ კომიტეტებში განხილვის შემდეგ, რომელიც 20-22 იანვარს უნდა დასრულდეს, წარუდგინოს პრეზიდენტმა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. პრეზიდენტმა თხოვნით მიმართა შესაბამისი სამინისტროების ხელმძღვანელებს განსაკუთრებული ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდონ პროექტის საბოლოო ვარიანტის ფორმირებას.

პრეზიდენტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო მთავრობის ასეთ ფუნდამენტურ სხდომებზე საქმიანი და კონკრეტული მსჯელობის მნიშვნელობას, მით უმეტეს, ახალ პირობებში, როცა რადიკალურად შეიცვალა მინისტრების როლი და დანიშნულება. ახალი როლი კი, ქვეყნის მეთაურის განმარტებით, მდგომარეობს იმაში, რომ თითოეული მინისტრი ნამდვილი ორგანიზატორი და მთავარი სახელმწიფო ზედამხედველია თავის დარგში და, აქედან გამომდინარე, პასუხისმგებელიც. ამ ორი მიმართულებით — ორგანიზატორულითა და საზედამხედველოთი — მუშაობა განსაკუთრებით აქტუალურია ქვეყნის განვითარების გარდამავალ ეტაპზე. 4-5 წლის შემდეგ ეს სისტემა, რომლითაც ჩვენ ტრადიციას ვქმნით და საფუძველს ვუყრით ისტორიას, უკვე თავისთავად, ავტომატურ რეჟიმში იმუშავებს.

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა სხდომაზე ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა ხელმძღვანელების მიერ გამოთქმულ მოსაზრებათა მეტი ყურადღებითა და ინტერესით გააზრების, მათი ინიციატივიანობის ჯეროვნად დაფასების აუცილებლობა. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრო იმ გარემოებას, რომ პრაქტიკულად ფედერალურ საწყისებზე აგებულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ასეთი მასშტაბური საკითხების განხილვა ავტონომიების მაგალითზე უნდა ხდებოდეს და არა ისე, როგორც ახლა, როდესაც სხდომა აჭარის წარმომადგენლის მოკლე ინფორმაციით დაკმაყოფილდა.

პრეზიდენტმა სთხოვა სხდომის მონაწილეებს, განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდონ დედაქალაქთან დაკავშირებულ წინადადებებს და განაცხადა, რომ ამ თვალსაზრისით, ალბათ, საჭირო იქნება გარკვეული ნორმატივების ხელახლა გადახედვა. მხედველობაში უნდა მივიღოთ დედაქალაქის სპეციფიკურობა, მისი განსაკუთრებული სტატუსი,—აღნიშნა მან. — ის, რაც აუცილებელია დედაქალაქისთვის, შეიძლება არ იყოს აუცილებელი სხვა ქალაქებისათვის. ვინაიდან, როგორი მაღალი რანგის სამხარეო ცენტრებიც უნდა შეიქმნას საქართველოში, თბილისი მაინც იქნება კულტურისა და მეცნიერების მთავარი კერა, აზროვნების, მუშაობის, მოქმედების ეტალონი, მართვის ფორმების განმსაზღვრელი და ტონის მიმცემი.

პრეზიდენტმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება განხილვის დროს წამოჭრილი კონკრეტული საკითხებისადმი. მან მიზანშეუწონლად მიიჩნია ხორბლის იმპორტზე გადასახადის დაწესება იმ მოტივით, რომ ეს ღონისძიება ხელს შეუშლის დარგის კომერციალიზაციას და შეუძლებელს გახდის პურზე ფასების გათავისუფლებას. — ეს პროცესი, — თქვა მან, — უნდა განხორციელდეს ლოგიკურად და თანამიმდევრულად.

უდავოდ და უკამათოდ მიაალები — ასე შეაფასა პრეზიდენტმა წინადადება აქციზური მარკების შემოღების შესახებ. — მარკირება უკვე თავისთავად ნიშნავს წესრიგსა და აღრიცხვიანობას, რომელიც წაახალისებს ბევრ ბიზნესმენს, რაც შეიძლება მეტი პროდუქცია შემოიტანოს ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ამჯერად საჭიროა არააქციზურ პროდუქციაზე გადასახადების განაკვეთების გადასინჯვა. ეს პროდუქცია, პრეზიდენტის აზრით, მნიშვნელოვნად ზრდის საბიუჯეტო შემოსავლებს.

უპირველეს ამოცანათა შორის პრეზიდენტმა დაასახელა მიწის შესახებ კანონის მიღება, რომელიც სერიოზულ დებატებს გამოიწვევს, სამაგიეროდ, მისი მიღება უზარმაზარი წინსვლა გადადგმული ნაბიჯი იქნება და მოგვცემს გარანტირებულ შემოსავალს მიწის გადასახადის სახით. ელექტროენერგიაზე ტარიფების გათანაბრება, პრეზიდენტის აზრით, შესაძლებელია მხოლოდ აპრილიდან ან მაისიდან, თუმცა ეს ღონისძიება არ მიაჩნია ენერგოკრიზისიდან თავის დაღწევის საშუალებად, — ყველაზე კარგი გამოსავალი, — განაცხადა მან, — არის მოხმარებულ ენერგიაზე გადასახადის გადახდა, სხვაგვარად ქვეყანა კრიზისს ვერ დაძლევს.

პრეზიდენტმა მოიშველია სტატისტიკური მონაცემები სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების დავალიანების მოცულობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ელექტროენერგიის საფასურის გადახდას მეტი პასუხისმგებლობით ეკიდება მოსახლეობა, რომელიც, გაჭირვების მიუხედავად, შეძლებისდაგვარად მაინც იხდის და კვლავაც მზად არის გადაიხადოს მოხმარებული ენერგიის ღირებულება, — ვალი ყველამ უნდა გაისტუმროს და გაძლევთ გარანტიას, რომ მომავალი წელი უკვე სხვანაირი იქნება, — განაცხადა პრეზიდენტმა და გადასახადებთან დაკავშირებული გეგმების შესრულებაში განსაკუთრებული როლი შეახსენა საგადასახადო და საბაჟო სამსახურებს. მან სთხოვა, აგრეთვე, შესაბამის უწყებებს, გადახედონ ყადაღების საკითხს და, რეალური ვითარებიდან გამომდინარე, მიიღონ გადაწყვეტილება.

დასასრულ, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სხდომის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო ლტოლვილთა და პენსიონერთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის აუცილებელ ღონისძიებებს.

ამით 1996 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის სამთავრობო განხილვა დასრულდა. პროექტზე მუშაობა გაგრძელდება პარლამენტის კომიტეტებში.

საქინფორმი.

თემის გაგრძელება

ძირეულად უნდა განვაახლოთ!

შარშან, 20 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ ჩემს პუბლიკაციაში „...მიღებული სახით ლურჯის ცხოვრებაში გატარება ჩვენ მიგვაჩნია შეუწყნარებლად" საუბარი წამოვიწყეთ საქართველოს მოქმედ სახელმწიფო ატრიბუტებზე — გერბზე, დროშასა და ჰიმნზე. უძველესი და უმდიდრესი სახელმწიფოებრიობისა და კულტურის ქვეყანას სიმბოლოებიც შესაფერისი უნდა ჰქონდეს. ის უმთავრესი სიმბოლოები, რომელთაც საქართველო დღესდღეობით სარგებლობს, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. ჩვენ მაშინ გამოვიყვანეთ ჩვენი საზოგადოებრიობის რამდენიმე წარმომადგენელი, რომლებმაც გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ამ საკითხის შესახებ, დღეს ვაგრძელებთ ამ თემაზე საუბარს. ამჯერად თავიანთ აზრს გამოთქვამენ:

ნოდარ ლომოური, ისტორიკოსი:

— აუცილებელ და ფრიად საშურ საქმედ მიმაჩნია საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დროშის და გერბის შეცვლა, ჰიმნის ხელახლა დაწერა.

რაც შეეხება ჰიმნს, მე აქ რაიმე კონკრეტულ მოსაზრებებს ვერ გამოვთქვამ; ერთი ცხადია, ხელახლაა დასაწერი როგორც სიტყვები, ისე მუსიკა და მიღება ახალი ჰიმნისა უნდა მოხდეს ფართო კონკურსის შედეგად.

უდავოდ კონკურსი უნდა გამოცხადდეს დროშისა და გერბის შექმნისათვისაც. ერთი ცხადია, დღევანდელი დროშა ყველა პარამეტრით უვარგისია. ახალი დროშა საქართველოს იმედიან და ნათელ მომავალს უნდა ანსახიერებდეს. ამიტომ ის ხალისიანი ფერის (ღია მწვანე — მდელოსფერი, ოქროსფერი, ცისფერი) ერთიანი ტილო უნდა იყოს, რომლის რომელიმე კუთხეში ან ცენტრში (ეს უკვე მხატვრის საქმეა) უნდა იყოს რაიმე სიმბოლური ნიშანი, თუნდაც მზის სიმბოლური გამოსახულება.

რაც შეეხება გერბს, მე პირადად კატეგორიული წინააღმდეგი ვარ აშკარად გამოხატული ქრისტიანული სიმბოლიკის, კერძოდ დღეს არსებული წმ. გიორგის გამოსახულებისა (ყოველგვარი ლაპარაკი იმაზე, რომ ეს „თეთრი გიორგია" — ფუჭია, ეს წმ. გიორგია!). უნდა გვახსოვდეს, რომ საქართველოს მოსახლეობის, მათ შორის თვით ქართული მოსახლეობის საკმაო რაოდენობა არაქრისტიანები არიან და ხაზგასმით ქრისტიანული სიმბოლიკა ამ მოსახლეობის გაღიზიანებას იწვევს, ისევე როგორც საზღვარგარეთ (თურქეთში) მცხოვრები არაქრისტიანი ქართველების უარყოფით რეაქციასაც. მე ამის მომსწრე არაერთგზის ვყოფილვარ.

ამიტომ გერბი განყენებულ, ნეიტრალურ სიმბოლიკას უნდა შეიცავდეს. მე პირადად სავსებით მაკმაყოფილებს ახალ ქართულ პასპორტზე და ფულზე გამოსახული მზის სიმბოლო — „ბორჯღალი". სრულიად მიუღებლად მიმაჩნია რომელიმე ძველი გერბის — ვთქვათ ქართლის სამეფოს, ან კახეთის სამეფოს გერბების გამოყენება, რადგან იქ ყველგან მონარქიული სიმბოლიკაა წარმოდგენილი, მე კი — მომავალი საქართველო მხოლოდ რესპუბლიკად წარმომიდგენია. მიმაჩნია, რომ არ უნდა გამოვრიცხოთ ყოფილი საბჭოთა საქართველოს გერბის მოდერნიზაცია, აქედან რაღაც ელემენტების — მთების, ხორბლის, ვაზის და ქართული ჩუქურთმის აღება და ანლებური კომპოზიცია.

გიორგი გუნია, მხატვარი:

— საქართველოს ჰიმნი უნდა შეიცვალოს როგორც მუსიკალურად, ასევე ტექსტუალურად. ტექსტი ვერ უძლებს ვერავითარ კრიტიკას, მუსიკალური მხარე ღარიბია როგორც ინტონაციურად, ასევე ჰარმონიულად და ფორმაც ჰიმნისთვის შეუსაბამოა.

საქართველოს გერბმა სასურველია დიდი ცვლილებები არ განიცადოს. უნდა მოიხსნას შვიდქიმიანი ვარსკვლავი, ხოლო თვითონ გერბს წრიული მოყვანილობა უნდა ჰქონდეს, ქართული მინანქრის პრინციპებიდან გამომდინარე და თვით მხედრის ფიგურაც და ფერიც უნდა შეესაბამებოდეს მინანქრის ფერწერულ სტილისტიკას. საჭიროა გერბზე აისახოს მზის დისკო და ნახევარმთვარე, როგორც ქრისტიანობასთან ისლამისა და იუდაიზმის ტოლერანტობა.

დროშის შემთხვევაში კი სასურველია ღვინისფერი შეიცვალოს მუქი წითლით (Пурпурный), შავი ფერი — ლურჯი ფერით.

მამია მალაზონია, მხატვარი:

— დავიწყებ დროშით, ის ნიშანი რაც არის, იდეურად მარქსისტულ-სოციალისტურია, უპმურ შთაბეჭდილებას სტოვებს. გრაფიკული თვალსაზრისით — უსახური, ყოვლად აუტანელია: ჯერ თვალში გეცემათ შინდისფერი, რაც დომინირებს მთლიანად და ხასიათს გვიფუჭებს, მერე, რაც მთავარია, არავითარ შემთხვევაში ქართულ ხასიათს ვერ ეგუება ასეთი ფერითი გადაწყვეტა. ვიზუალურად თუ განვიხილავთ, ზღვისა და ცისფერი ეს არის ჩვენეული ფერები, შემდეგ მიწისფერი, ყავისფერი, ოქროსფერი და თეთრი. ჩემის აზრით, ჩვენს დროშაში უნდა დომინირებდეს ზღვისფერი, თეთრი და ოქროსფერი — ჩვენი ბუნების ფერები.

ახლა გერბის შესახებ. მეცნიერებიც აღნიშნავენ, რომ იგი რელიგიური ნიშნით არ უნდა იყოს აღბეჭდილი. და მეც ამ აზრისა ვარ. არსებული გერბი გრაფიკულად ცუდად გამოიყურება და ყოვლად გაუგებარია. იგი არ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც საერთოდ უნდა გააჩნდეს გერბს.

ჰიმნი პოპულარული უნდა იყოს, ქუჩაში კაცი რომ გააჩერო, ზეპირად უნდა ახსოვდეს ტექსტიც და მუსიკაც. ქართველებიდან ძნელად თუ გაიხსენებს ვინმე ჰიმნის ტექსტს. არც ტექსტი და არც მუსიკა არ არის პოპულარული და ამიტომ ახლიდან უნდა დაიწეროს. ჰიმნი უნდა იყოს იოლად აღსაქმელი, მარტივი, მელოდია — ყველამ უცებ რომ აიტაცოს. უდიდესი მუსიკალური კულტურის ქვეყანას ასეთი ჰიმნი მართლაც არ ეკადრება.

სასწრაფოდ უნდა შეიკრიბოს კომისია, რომელიც კონკურსს გამოაცხადებს სამივე სიმბოლოზე და მათი საბოლოო სახის ჩამოყალიბებაში მთელმა საქართველომ უნდა მიიღოს მონაწილეობა. მეცნიერებმა თეორიულად უნდა შეიმუშაონ, მხატვრებმა და მუსიკოსებმა კი უნდა განახორციელონ სახელმწიფო სიმბოლოები. რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს მათი ფუნდამენტური განახლება.

იოსებ კეჭაყმაძე, კომპოზიტორი:

— ერს, რომელსაც უძველესი და უმდიდრესი პროფესიული მუსიკალური მემკვიდრეობა აქვს, მართლაც უნდა ჰქონდეს უკეთესი ჰიმნი. როდესაც სრულდება რუსეთის ან ამერიკის ჰიმნი, ჩვენი ჰიმნი დაჩაგრულად ჟღერს, გეცოდება ჩვენი მუსიკა. განსაკუთრებით უმწეოა ტექსტი, უფრო უარესია, ვიდრე მუსიკა.

მარიკა ლორთქიფანიძე, ისტორიკოსი:

— მე ვიზუალურად არც დროშა მომწონს და არც გერბი, მოსმენის თვალსაზრისით არც ჰიმნი მომწონს, მაგრამ სამაგიეროს ვერაფერს შემოგთავაზებთ. ასე იოლად ეს საკითხი ვერ გადაწყდება. უნდა გამოცხადდეს კონკურსი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პოლიტიკოსები, პროფესიონალი მხატვრები და კომპოზიტორები. გათვალისწინებულ უნდა იქნას საზოგადოებრივი აზრიც. ცალ-ცალკე უნდა გამოცხადდეს კონკურსი თითოეულ სიმბოლოზე. არსებულმა სიმბოლოებმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ კონკურსში. თავის დროზე სახელმწიფო სიმბოლოების შემუშავებაში მონაწილეობდნენ ივანე ჯავახიშვილი, შარლემანი, დიმიტრი შევარდნაძე. თუმცა, ახლა მოდაში შემოვიდა ავტორიტეტების ლანძღვა — 30-იან წლებში ლანძღავდნენ ივანე ჯავახიშვილს და მისი სკოლის წარმომადგენლებს, 50-იან წლებში — სიმონ ჯანაშიასა და ბერძენიშვილს, 90-იან წლებში პეტრიაშვილის კამპანიამ წალეკა ქვეყანა. ახლაც გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე საქართველოს ისტორიის საკითხებზე გამოქვეყნებული პუბლიკაცია პეტრიაშვილის გამოსვლაზე უარესადაც კი მიმაჩნია. არ შეიძლება მეცნიერული საკითხებისადმი ასეთი არაპროფესიული მიდგომა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ გიორგი ჩუბინაშვილს ან ივანე ჯავახიშვილს შეცდომები, ან ვინმეს თვალსაზრისით მიუღებელი მოსაზრება არ ჰქონდეთ, მაგრამ ჩვენ, პირველ რიგში, რიდესაც მეცნიერზე ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ ის დონე, რა დონეზეც იმყოფებოდა მაშინდელი მეცნიერება. ავტორიტეტების წინააღმდეგ ბრძოლა აბსოლუტურად გაუმართლებლად მიმაჩნია. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათი კრიტიკა არ შეიძლება, მაგრამ ამ კრიტიკასაც თავისი ფორმა და საზღვრები აქვს.

საუბარს უძღვებოდა
გიორგი ლალიაშვილი.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბრძანება

ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის აღსანიშნავი 500 ლარის ღირებულების მემორიალური მონეტის მიმოქცევაში გაშვების შესახებ

1. გაშვებული იქნას მიმოქცევაში ფაშიზმზე გამარჯვების 50 წლისთავის აღსანიშნავი 500 ლარის ღირებულების მემორიალური მონეტა.

2. მონეტა გამოშვებულია 1995 წელს, მისი დიამეტრი შეადგენს 31 მმ-ს, შეიცავს 22 სინჯის 17 გრამ ოქროს.

მონეტის ავერსზე (შუბლის მხარეს) ზედა ნაწილში გამოსახულია ბორჯღალი და ციფრი 1995. ცენტრში ამოტვიფრულია რიცხვი 500, რომლის ქვემოთ იკითხება წარწერა „ლარი, LARI", პერიმეტრზე არის წარწერა „საქართველოს რესპუბლიკა, Republic of Georgia".

მონეტის რევერსზე (ზურგის მხარეს) ამოტვიფრულია ანტიფაშისტური კოალიციის სახელმწიფოთა მეთაურების სტალინის, რუზველტის, ჩერჩილისა და დე გოლის ბარელიეფური გამოსახულებები მათი გვარებით, ხოლო ქვედა ნაწილში — ციფრი 1945.

მონეტის წიბოზე გამოსახულია გამოშვებული მემორიალური ოქროს მონეტების რაოდენობა შესაბამისად დანომრილი 0001/2000-დან 2000/2000-მდე.

პრეზიდენტი
ნოდარ ჯავახიშვილი.

1996 წლის 8 იანვარი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მოვლენები, ამბები

პარიზი. პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში 11 იანვარს 11 საათზე ადგილობრივი დროით გაიმართა 8 იანვარს გარდაცვლილი საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის ხსოვნისადმი მიძღვნილი წირვა. პარიზში სამგლოვიარო ცერემონიაში მონაწილეობა მიიღეს მსოფლიოს ათობით ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურებმა. მათ შორის რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა, გერმანიის კანცლერმა ჰელმუტ კოლმა, ესპანეთის პრემიერ-მინისტრმა ფილიპე გონსალესმა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტმა ალბერტ გორმა, აგრეთვე კუბის ლიდერმა ფიდელ კასტრომ, უკრაინის პრეზიდენტმა ლეონიდ კუჩმამ, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ჰეიდარ ალიევმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა ბუტროს გალიმ, ნატოს გენერალურმა მდივანმა ხავიერ სოლანამ, სხვა მაღალი თანამდებობის სტუმრებმა.

საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტის ფრანსუა მიტერანის კუბო სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავით ჩაასვენეს მის სამშობლოში, ქალაქ ჟარნაკში, სადაც იგი დაიკრძალა.

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი უილიამ პერი მიესალმა რუსეთის მონაწილეობას პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის", რომელიც, როგორც მან თქვა, ხელს შეუწყობს ევროპაში გათიშულობის შედეგების დაძლევას. იგი ოთხშაბათს გამოვიდა „მარშალის გეგმის" 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სიმპოზიუმზე. კარგია, თქვა მან, რომ რუსეთმა არჩია მონაწილეობა ამ პროგრამაში „მარშალის გეგმის" სულისკვეთებით. ჩვენ აგრეთვე მივესალმებით რუსეთის მზადყოფნას, განაცხადა მინისტრმა, მონაწილეობა მიიღოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებს გარეთ ნატოსთან ერთობლივი მოქმედების ცალკე გეგმაში.

ლონდონი. მომავალ არჩევნებში ლეიბორისტებისათვის მხარდაჭერა მთლიანად დატენილი რევოლვერით „რუსულ რულეტში" თამაშის ტოლფასია. ასეთი ხატოვანი გამოთქმა იხმარა ოთხშაბათს თემთა პალატაში გამოსვლისას პრემიერ-მინისტრმა ჯონ მეიჯორმა, როცა შეეხო მთავარი ოპოზიციური ძალის — ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურ კურსს ენტონი ბლერის მეთაურობით. პრემიერს მიაჩნია, რომ ლეიბორისტთა პოლიტიკისათვის ხმის მიცემა ნიშნავს „უგუნურ ავანტიურაში" ჩაბმას, რომელიც გააქარწყლებს ქვეყნის მნიშვნელოვან წარმატებებს, რის მიღწევაც კონსერვატორთა 16 წლის მართვა-გამგეობის დროს მოხერხდა.

ზაგრები. ტუზლის (ბოსნიის ჩრდილო-აღმოსავლეთი) რაიონში ნაღმის აფეთქების შედეგად დაიჭრა ამერიკის არმიის პირველი დივიზიის ჯავშანტრანსპორტიორის ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრი. როგორც ბოსნიის საზავო შეთანხმების შესრულების ძალების ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, საბრძოლო მანქანაში მყოფი მეორე სამხედრო მოსამსახურე არ დაშავებულა.

პრაღა. „2020 წლისათვის ისრაელის მოსახლეობა 7 მილიონს მიაღწევს და ამრიგად ქვეყანა გახდება უდიდესი ებრაული ცენტრი პლანეტაზე", — განაცხადა ისრაელის პრეზიდენტმა ეზერ ვეიცმანმა, რომელიც სახელმწიფო ვიზიტად იმყოფება ჩეხეთში. ოთხშაბათს საღამოს პრაღის ცენტრალური ევროპის უძველეს უნივერსიტეტში — კარლოვის უნივერსიტეტში მან წაიკითხა ლექცია თანამედროვე მსოფლიოში ისრაელის როლის შესახებ და ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მოსახლეობა გაიზრდება იმიგრაციისა და შობადობის ზრდის ხარჯზე.

პეკინი. წლის დამდეგიდან ორი ტრაგედია მოხდა ძიანსის პროვინციაში. როგორც პროვინციის ხელისუფალთა წარმომადგენელმა განაცხადა, 3 და 8 იანვარს მდინარე იანძის ერთ-ერთ მონაკვეთზე დაინგრა დამცავი ჯებირების ნაგებობა. ამის შედეგად წამსხვრევებსა და მძლავრ წყლის ნაკადში დაიღუპა 26 კაცი, 5 მძიმედ დაშავდა. მიმდინარეობს კიდევ სამი დაკარგული გვამის ძებნა. სულ დაზარალდა ახლომდებარე სოფლების დაახლოებით ათასი მცხოვრები.

მოსკოვი. ხანმოკლე შესვენების შემდეგ დაღესტნის სოფელ პერვომაისკოეს მიდამოებში შუადღის შემდეგ გაგრძელდა დაღესტნის რესპუბლიკის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება დუდაევის ბოევიკებთან, რომლებსაც ქალაქ ყიზლარზე თავდასხმის დროს აყვანილი დაახლოებით 160 მძევალი ჰყავდათ. ეს იტარ-ტასის კორესპონდენტს 11 იანვარს, საღამოს ტელეფონით აცნობა დაღესტნის უშიშროების ფედერალური სამსახურის სამმართველოს წარმომადგენელმა.

სინგაპურში დაზიანდა და ჩაიძირა ცნობილი კვლევითი გემი „კალიფსო", რომელიც ფრანგ ოკეანოგრაფს ჟაკ-ივ კუსტოს ეკუთვნის

პარიზი, (იტარ-ტას-საქინფორმი). 11 იანვარს სინგაპურის ნავსადგურში ჩაიძირა საფრანგეთის ოკეანოგრაფიული კვლევითი გემი „კალიფსო", რომელმაც მთელ მსოფლიოში გაითქვა სახელი თავისი კაპიტნის ჟაკ-ივ კუსტოს წყალობით. როგორც აქ გახდა ცნობილი, „კალიფსოს" მეორე გემი დაეჯახა. „კვონ სუნ იჯინირინგის" გემთსაშენის მახლობლად მდგომ „კალიფსონში" წყალმა შეაღწია და იგი ნახევრად ჩაიძირა. ავარიის მომენტში ეკიპაჟი გემზე არ იმყოფებოდა. ამჟამად სწავლობენ 40 მეტრი სიგრძის ამ ყოფილი სანაღმო ტრალერის გადარჩენის შესაძლებლობას.

თითქმის ნახევარი საუკუნეა „კალიფსო" სერავს მსოფლიოს ზღვებსა და ოკეანეებს და ემსახურება იმ მეცნიერთა, კინო და ტელეოპერატორთა რაზმს, რომლებმაც შექმნეს მთელი მსოფლიოს ტელეეკრანებზე ნაჩვენები უნიკალური დოკუმენტური ფილმები.

გემი სექტემბრიდან სინგაპურშია ბაზირებული. იგი მონაწილეობდა ჩინეთისა და ვიეტნამის წყლებში მიმდინარე კვლევითი სამუშაოების პროგრამაში.

ნიუფაუნდლენდის ნაპირებთან უბედურება შეემთხვა საბერძნეთის ხომალდს

ოტავა, (იტარ-ტას-საქინფორმი). სატვირთო ხომალდს ბერძნული დროშით უბედურება შეემთხვა კანადის ნიუფაუნდლენდის კუნძულის მახლობლად, იუწყება გოლიფაქსში საძიებო-სამაშველო ცენტრი ახალი შოტლანდიის პროვინცია.

6 ათასი ტონა წყალწყვის გემის კორპუსის ორ ადგილას წყალი შედის. ხომალდის ეკიპაჟი 24 კაცის შემადგენლობით ცდილობს წყლის ამოტუმბვას, და მის კაპიტანს მიაჩნია, რომ ჩაძირვის უშუალო საფრთხე ჯერჯერობით არ არის. უბედურების ადგილისაკენ მიემართება კანადის სანაპირო ზედამხედველობის საპატრულო ხომალდი, ტანკერი და [illegible]

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სამართალი

ჩაშლილი ლაშქრობა

როგორ და რატომ მიდიოდნენ დასავლეთ საქართველოში თენგიზ კიტოვანი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი

ოთხმოციანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირში ასეთი მოსწრებული გამოთქმა გაჩნდა: მეცხრე ხუთწლედი საზეიმო დაკრძალვათა ხუთწლედი იქნებაო.

მართლაც, ერთმანეთს მიჰყვნენ გადაღრძუებული „ქვეყნის მამება", იყო ერთიანი გაბმული პანაშვიდი კრემლის კედელთან.

1996 წელი დიდი სასამართლო პროცესების წელი იქნება საქართველოში.

არც ამას სჭირდება დიდი წინასწარმეტყველება: უკვე დამთავრდა გამოძიება და სასამართლოს გადაეცა, ნაწილი კი მალე დამთავრდება და სასამართლოს გადაეცემა, საქვეყნოდ ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები.

ეს „საქმეები" საქართველოს უახლესი ისტორიის ცალკეული ფურცლებია, რომლებიც, სწორედ ისე რომ არ დასრულებულიყო როგორც დასრულდა, შეიძლება ეს ისტორია საერთოდ სულ სხვაგვარად დაწერილიყო...

ზუსტად წელიწადი გავიდა იმ ამბიდან, მაშინ აფეთქებასავით რომ გადაუარა საქართველოს და მისი გამოძახილი დღემდე არ მიმცხრალა.

ამ ამბავს პირობითად „კიტოვანის აფხაზეთისკენ გალაშქრება" შეიძლება ვუწოდოთ.

დღეს ამ „გალაშქრების" მოთავენი თბილისის დიდუბის რაიონის სასამართლოს წინაშე წარსდგნენ:

თენგიზ კალისტრატეს ძე კიტოვანი — დაიბადა 1938 წელს თბილისში, უმაღლესი განათლებით (სპეციალობით მხატვარი), ცოლშვილიანი, წარსულში რამდენიმეჯერ ნასამართლევი, ყოფილი სამხედრო საბჭოს წევრი, სახელმწიფო საბჭოს წევრი, თავდაცვის მინისტრი, ეროვნული გვარდიის სარდალი, ეროვნული გვარდიის საპატიო თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის თავმჯდომარე, პარლამენტის წევრი, გენერალი.

ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 238^1 მუხლით, 238 მუხლის I, II, III და IV ნაწილით და 135 მუხლით, ანუ ბრალი ედება იმაში, რომ ჩამოაყალიბა უკანონო შეიარაღებული ფორმირებანი და მონაწილეობა მიიღო ასეთ ფორმირებაში, ასევე უკანონოდ, სათანადო ნებართვის გარეშე შეიძინა, ატარებდა, ინახავდა და გადაზიდა ცეცხლსასროლი იარაღი, ფეთქებადი საბრძოლო მასალა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მანვე აიძულა ფიზიკურად და სიტყვიერი მუქარით სხვა პირი შეესრულებინა ესა თუ ის მოქმედება.

ირაკლი კონსტანტინეს ძე სურგულაძე — დაიბადა 1936 წელს თბილისში, უმაღლესი განათლებით, ნასამართლობის არმქონე, ცოლშვილიანი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის პოლიტიკური მდივანი, მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერი თანამშრომელი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ადრე საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი.

ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 238^1 მუხლით, ანუ ბრალი ედება იმაში, რომ ჩამოაყალიბა უკანონო შეიარაღებული ფორმირებანი და მონაწილეობა მიიღო ასეთ ფორმირებაში.

ვალერი ვლადიმერის ძე ფისიუნი — დაიბადა 1952 წელს რუსეთის ფედერაციის კუიბიშევის ოლქის ქ. ჩაპაევსკში, ეროვნებით რუსი, ცოლშვილიანი, უმაღლესი განათლებით, რუსეთის ფედერაციის კონსერვატიული პარტიის წევრი, ადრე ნასამართლევი.

ბრალი ედება სისხლის სამართლის კოდექსის 238^1 მუხლით, ანუ ბრალი ედება იმაში, რომ ჩამოაყალიბა უკანონო შეიარაღებული ფორმირებები და მონაწილეობა მიიღო ასეთ ფორმირებაში.

სისხლის სამართლის № 7495805 საქმე საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურაში გენერალური პროკურორის მიერ აღიძრა 1995 წლის 13 იანვარს. იმავე დღეს შეიქმნა საგამოძიებო ჯგუფი, საქმე გამოსაძიებლად გადაეცა გენერალური პროკურორის საგამოძიებო აპარატს.

მარტო საბრალდებო დასკვნა 102 გვერდს მოიცავს.

№ 7495805 საქმიდან ცალკე გამოიყო 14 სისხლის სამართლის საქმე 33 პირის მიმართ.

ეს, ასე ვთქვათ, პრეამბულაა, იურისპრუდენციის მშრალი, მკაცრი საქმიანი ენით გადმოცემული.

მის უკან კი დგას ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც, დანაშაულებრივი ქმედობის თვალსაზრისით, მართალია, სისხლის სამართლის კატეგორიას ეკუთვნის, მაგრამ რეზონანსით და მოსალოდნელი შედეგებით უდავოდ დიდი სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური ჟღერადობისაა...

საქმის არსი მოკლედ, ანუ ისე, როგორც საზოგადოებრიობამ შეიტყო მოვლენათა განვითარების უმალ, ასეთია:

1995 წლის 13 იანვარს თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით თბილისიდან დასავლეთ საქართველოს მიმართულებით ავტობუსების კოლონით გაემგზავრნენ უკვე ლიკვიდირებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის წევრები აფხაზეთში საომრად შესვლის მიზნით, ისინი თერჯოლის რაიონის სოფელ სიმონეთთან შეაჩერეს, განაიარაღეს და დააპატიმრეს...

გამოძიებას უნდა დაედგინა: ვინ მიდიოდა, როგორ მიდიოდა, რატომ მიდიოდა.

და გამოძიებამ დაადგინა...

ვინ მიდიოდა

1994 წლის 24 ოქტომბერს იუსტიციის სამინისტროს სარეგისტრაციო კოლეგიამ რეგისტრაციაში გაატარა მოქალაქეთა საზოგადოებრივი გაერთიანება „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი", რომლის თავმჯდომარედ არჩეული იყო თენგიზ კიტოვანი, ხოლო ფრონტის ცენტრალური საბჭოს წევრებად — ირაკლი სურგულაძე, ზურაბ სამუშია, თენგიზ სიგუა და სხვ. ირაკლი სურგულაძე ამავე დროს იყო ფრონტის პოლიტიკური მდივანი, ხოლო ზურაბ სამუშია — შტაბის უფროსი.

ფრონტის ხელმძღვანელობას კონსულტანტად მოწვეული ჰყავდა რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვალერი ფისიუნი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის წესდებით, ამ ორგანიზაციის მიზანი იყო სახალხო დიპლომატიის საშუალებებით საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება და სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცება. ამასთან, მას უნდა ეხელმძღვანელა საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობითა და წესდებით, რომელშიც პირდაპირ იყო მითითებული, რომ ფრონტს იარაღის ქონისა და შეიარაღებული ხალხის ყოლის უფლება არ ჰქონდა.

მცირე პაუზა.

იუსტიციის სამინისტრომ თავდაპირველად „საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი" რეგისტრაციაში არ გაატარა და წესდება დაუმტკიცებლად დაუბრუნა უკან, ვინაიდან წარმოდგენილი წესდების მე-2 თავის (ფრონტის მიზანი და ამოცანები) 2.1 მუხლში აღნიშნული იყო, რომ სახელმწიფოებრიობის დაკარგვის პირდაპირი საფრთხის შემთხვევაში ფრონტი ორგანიზაციას უწევს „შეიარაღებულ სახალხო წინააღმდეგობის მოძრაობას, სახალხო ლაშქრის პარტიზანული ჯგუფებისა და სხვა ფორმირების სახით". შემდგომში ეს მუხლი შეიცვალა და რეგისტრაციაში გატარდა ისე, რომ წესდების მიხედვით, როგორც ითქვა, ფრონტს არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონდა შეიარაღების უფლება.

ეს საწესდებო მოთხოვნა არ შესრულდა.

სეგფ-ის ხელმძღვანელობამ, არაერთგზის გაფრთხილების (მათ შორის სახელმწიფოს მეთაურის მხრივაც) მიუხედავად, ამ ფრონტის ბაზაზე ჩამოაყალიბა უკანონო შეიარაღებული ფორმირებები, ხალხის მოზიდვის მიზნით საქართველოს სხვადასხვა რაიონში შექმნა ფრონტის რეგიონული საბჭოები, დანიშნა მეთაურები და საბჭოს თავმჯდომარეები (ხშირად დოკუმენტებზე ხელმოწერა ასეთია — „გენერალი კიტოვანი", რაც დაუშვებელია სხვა თანამდებობაზე შეთავსებით მუშაობისას).

მცხეთის რაიონში თ. კიტოვანის ბრძანებით მეთაურად დაინიშნა ნოდარ ბეკურაშვილი.

თელავის რაიონში — შოთა ხომასურიძე.

ფოთის საბჭოს თავმჯდომარედ — მერაბ ასანიძე.

თბილისის ისნის რეგიონული საბჭოს თავმჯდომარედ — გიორგი კუტუაძე.

მარტვილის რაიონში — გოგი კიტოვანი.

ქვემო ქართლში — არსენ ხურცილავა.

ზუგდიდის რაიონში — თენგიზ ვეკუა.

სამცხე-ჯავახეთში — სერგო მანჯავიძე.

ოზურგეთში — რაიბელ დოლიძე.

სიღნაღში — სიმონ ლოლუაშვილი.

რუსთავში — მერაბ ნოზაძე.

თბილისის გაერთიანებული რეგიონული საბჭოს თავმჯდომარედ — გივი გალდავა...

ეს მეთაურები და საბჭოს თავმჯდომარეები რეგიონულ ორგანიზაციებში სხვადასხვა დაპირებით აწევრიანებდნენ მოქალაქეებს და აიარაღებდნენ უკანონო გზებით მოპოვებული ცეცხლსასროლი და სხვა სახის იარაღით. სეგფ-ის შემადგენლობაში მრავლად შევიდნენ ადრე დანაშაულისათვის ძებნილი და ნასამართლევი პირები, რომლებიც თავს აფარებდნენ „ფრონტს" და ახალ დანაშაულობებს სჩადიოდნენ. გამოძიებას დადგენილი აქვს ისიც, თუ სად და როგორ იძენდნენ „ფრონტის" წევრები იარაღს, და ისიც, რა სახის სისხლის სამართლის დანაშაული (ძარცვა, გაუპატიურება, ყაჩაღობა, მკვლელობა, ხულიგნობა) აქვთ ჩადენილი „ფრონტში" გაწევრიანების შემდეგ თუ მანამდე (51 კაცი ერთხელ, ორჯერ და სამჯერაც კი არის ნასამართლევი სხვადასხვა მძიმე დანაშაულისათვის). წევრთა შერჩევისას მთავარი ყურადღება ექცეოდა პირებს, რომლებსაც ჰქონდათ საბრძოლო გამოცდილება და ცეცხლსასროლი იარაღი.

„ფრონტის" ფოთის რეგიონული საბჭოს თავმჯდომარემ მერაბ ასანიძემ წინდაწინ იცოდა ლაშქრობის სავარაუდო თარიღი და თ. კიტოვანის, ი. სურგულაძისა და სხვათა სიტყვიერი მითითებით ფოთში მოამზადა 2500 მებრძოლის დასაბანაკებელი ადგილი. მანვე სეგფ-ის ფოთის რეგიონული საბჭოს წევრის ზურაბ ჯალაღონიას დახმარებით „მალთაყვისა" და „ნაბადას" ტერიტორიაზე აღმოაჩინა სხვადასხვა რადიუსის მოქმედი ფრთოსანი რაკეტები და იმედოვნებდა, რომ საჭიროების შემთხვევაში უკანონო შეიარაღებული ფორმირება გამოიყენებდა მათ.

ალეკო ასლანიშვილი.

(გაგრძელება იქნება)

აფხაზეთი — [illegible]

გამოვაცხადოთ 1996 წელი სეპარატიზმთან მტკიცე ბრძოლის წლად!

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახურის მიმართვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებისადმი, ჟურნალისტებისადმი

აფხაზეთში შობილმა სეპარატიზმმა დაუსჯელად, განსაკუთრებული სისასტიკით ჩაიდინა ბოროტება. ასობით უდანაშაულო სხვადასხვა ეროვნების ქალი და ბავშვი გახდა განუკითხაობის, ხოცვა-ჟლეტისა და დარბევების მსხვერპლი. ასიათასობით ადამიანმა, რომლებმაც გენოციდი და ეთნიკური წმენდა გადაიტანა და თავის შველა მოასწრო, მიატოვა მშობლიური კერა, მაგრამ ქართული მოსახლეობის აფხაზეთიდან მთლიანი განდევნის იდეა კვლავინდებურად ცოცხლობს დამნაშავე რეჟიმის გარემოში. ამიტომ, გრძელდება კიდევ ავტონომიურ რესპუბლიკაში ძალმომრეობის, ძარცვისა და დევნის პოლიტიკა.

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოწესრიგებისათვის გამიზნული მშვიდობიანი პროცესის გააფერხებული ნგრევა მოწმობს, რომ სეპარატიზმის ლიდერებს არ სურთ ცივილიზებულად გადაჭრან პრობლემა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. კონფლიქტები აფხაზეთში, ჩეჩნეთში, დნესტრისპირეთში თავისი წარმოშობით, განვითარებითა და შედეგებით ტყუპებივით ჰგვანან ერთმანეთს, იწვევენ ძრწოლასა და შიშს. ბუდიონოვსკის ტრაგედია უნდა გახდეს ყველა იმათი მკაცრი გაფრთხილება, ვინც მხარს უჭერს სეპარატიზმს. ამიტომ, ბრძოლა ამ მასშტაბურ მოვლენასთან შედეგებს მოიტანს მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით. და აქ თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვან მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, ჟურნალისტებმა, დაუსჯელად არ უნდა დავტოვოთ სეპარატიზმი — საზარელი დანაშაული, თორემ კაცობრიობა ალბათ ვერ დაიცავს თავის სიცოცხლეს ბარბაროსობის გამოვლინებებისაგან. ადრე თუ გვიან, იძულებული ვიქნებით პასუხი ვაგოთ ისტორიისა და საკუთარი სინდისის წინაშე.

მივმართავთ რა კოლეგა ჟურნალისტებს, მოვუწოდებთ ყველას, გადამწყვეტი და უკომპრომისო ბრძოლა გამოუცხადონ სეპარატიზმს. დავეხმაროთ ჩვენს ხალხებს უზრუნველყონ სახელმწიფოებრიობის, კონსტიტუციისა და კანონიერების, ქვეყნის ერთიანობისა და განუყოფლობის დაცვის გარანტია.

ლტოლვილთა საპროტესტო აქცია

გუშინწინ, თბილისში, საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს შენობასთან გაიმართა აფხაზეთიდან ლტოლვილთა საპროტესტო აქცია. საელჩოს წარმომადგენლებისათვის გადაცემულ განცხადებაში ნათქვამია:

„დამთავრდა კონფლიქტის ზონაში რუსეთის სამშვიდობო ძალების ყოფნის მორიგი ვადა. სამწუხაროდ, ამჯერადაც მათი ყოფნა გალის რაიონში უშედეგო გამოდგა. განაწამები და მრავალტანჯული ლტოლვილებისათვის აღთქმული ნანატრი დრო სამშობლოში მათი უცილობელი და მალე დაბრუნების შესახებ, ქაღალდზე დარჩა. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს პროცესის განზრახ გაჭიანურებას, ადასტურებს გავრცელებულ აზრს, რომ მოახდინა რა აფხაზეთის ოკუპაცია ჩრდილოეთკავკასიელ და სხვა ბანდფორმირებებთან ერთად, რუსეთი არ დაუბრუნებს ავტონომიურ რესპუბლიკას საქართველოს, არ აღადგენს მის ტერიტორიულ მთლიანობას, ნათქვამის სისწორეს ნათლად მოწმობს მრავალი ყალბი ქართულ-აფხაზური მოლაპარაკება, რომლებიც მოსკოვში რუსეთის შუამავლობით იმართება. ფუჭი გამოდგა ალმათისა და მინსკში დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერთა შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებანიც.

ამასობაში კი, აფხაზეთში გრძელდება ადამიანის უფლებათა დარღვევები, ძალმომრეობისა და ქართული მოსახლეობის ეთნიკური წმენდის ფაქტები.

ჩვენ, დამცირებული და შეურაცხყოფილი ლტოლვილთა წარმომადგენლები, რუსეთის ხელმძღვანელობისაგან და, უწინარეს ყოვლისა, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბატონ ბორის ელცინისაგან მოვითხოვთ, შეწყდეს ორმაგი თამაში, დაუყოვნებლივ გაიყვანონ კონფლიქტის ზონიდან ეგრეთ წოდებული სამშვიდობო ძალები, რომლებსაც აშკარად პირი აქვთ შეკრული სეპარატისტებთან, განაიარაღონ უკანონო ბანდიტური აფხაზური ფორმირებები, რომლებსაც მოქმედება შეუძლიათ მხოლოდ რუსეთის ფედერაციის სამხედრო და ეკონომიკური ძალის დახმარებით".

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრესსამსახური.

„ამიერიდან არ ვაპირებთ თვალის დახუჭვას სეპარატისტთა დანაშაულობებზე"

აფხაზეთის მეომართა კავშირმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამია:

ქართველი მოსახლეობის გენოციდი და ეთნიკური წმენდა აფხაზეთში გრძელდება. ავტონომიურ რესპუბლიკაში მოკალათებული ბანდიტები მიზანმიმართულად სპობენ ქალებს და ბავშვებს. „არც ერთი ქართველი — ჩვენს გვერდით!" აფხაზ სეპარატისტთა ლიდერის ვ. არძინბას ეს სიტყვები მკვლელთა მოქმედებით დასტურდება. ამა წლის 5 იანვარს, გალის რაიონის სოფელ შეშელეთში დახვრიტეს კიდევ ერთი უდანაშაულო ქართული ოჯახი. ყოველგვარ მოთმინებას საზღვარი აქვს. ჩვენსასაც. აღარ ვაპირებთ ამიერიდან თვალი დავხუჭოთ სეპარატისტთა განუკითხაობასა და დანაშაულზე, რომლებსაც აშკარად მხარს უჭერენ რუსეთის ეგრეთ წოდებული სამშვიდობო ძალები. მათი უკვე აღარ გვჯერა!

აფხაზეთის მეომართა კავშირი თავისი მრავალათასიანი შემადგენლობის სახელით უნდობლობას უცხადებს გალის რაიონში დისლოცირებულ რუსეთის ჯარებს და მოითხოვს მათ დაუყოვნებლივ გაყვანას კონფლიქტის ზონიდან, ხაზგასმულია განცხადებაში.

ყაზახეთი და ყირგიზეთი მხარს უჭერენ საქართველოს პოზიციას

ყაზახეთისა და ყირგიზეთის რესპუბლიკებში საქართველოს პრეზიდენტის დავალებით სპეციალური მისიით 6-დან 10 იანვრამდე იმყოფებოდა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე მ. უკლება.

ყაზახეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრაზე იმსჯელეს საქართველოს ინიციატივების თაობაზე აფხაზეთში სეპარატისტული რეჟიმის წინააღმდეგ კომპლექსური ზომების შესახებ, რომლებსაც განიხილავენ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს სხდომაზე 12 იანვარს და შემდეგ თანამეგობრობის წევრი ქვეყნების მეთაურთა საბჭოს სხდომაზე 19 იანვარს ქ. მოსკოვში.

აღსანიშნავია, რომ ყაზახეთის მხარე და თვით პრეზიდენტი ნურსულთან ნაზარბაევი ერთმნიშვნელოვნად უჭერენ მხარს საქართველოს პოზიციას. მხარეებმა ილაპარაკეს აგრეთვე საქართველო-ყაზახეთის ურთიერთობის განვითარების შესახებ, კერძოდ, ტრანსპორტის, ეკონომიკისა და სხვა სფეროებში. გაირკვა, რომ იანვრის შუა რიცხვებში საქართველოს ეწვევა ექსპერტთა ჯგუფი ხელშეკრულებათა ახალი პაკეტის მოსამზადებლად. ამ ჯგუფს უხელმძღვანელებს ყაზახეთის ეკონომიკის მინისტრის მოადგილე.

ბიშკეკში ყირგიზეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრაზე ყირგიზეთის მხარემ აღუთქვა საქართველოს მხარდაჭერა მოსკოვის მომავალ სამიტზე. ამ შეხვედრის დროს საქართველოს მხარემ ყირგიზეთის მხარეს გადასცა ორ ქვეყანას შორის შეთანხმებების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ყირგიზეთს შორის ურთიერთხელსაყრელი ურთიერთობის განვითარებას. ხელი მოაწერეს ოქმს ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროების თანამშრომლობის შესახებ.

შეხვედრებს ყაზახეთში და ყირგიზეთში ფართოდ აშუქებდნენ პრესა და ტელევიზია.

ნიშანდობლივია, რომ შეხვედრებისა და განხილვების დროს ერთხმად გამოითქვა მოსაზრება, რომ აგრესიული სეპარატიზმი სერიოზულ საფრთხეს უქმნის სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობას, მშვიდობასა და სტაბილურობას და რომ საჭიროა მის წინააღმდეგ ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური, — საქინფორმი.

სიცოცხლე სიკვდილის შემდეგ

ეროსი... ღიმილი, სევდა...

სურათები მსახიობის ცხოვრებიდან

...ერთხელ ეროსს, ვარდს რომ წყვეტდა, ფუტკარმა უკბინა და ტირილით გაფრინდა დედასთან: „ვაიმე, დედა, ვაიმე. ვკვდებიო". დედამ უპასუხა: „თუ ფუტკრის ნესტარი ასე მწარეა, როგორიღაა ეროს, ის ტკივილები, რომელთაც შენ ადამიანებს აყენებ"...

ანაკრეონტული მოტივებიდან.

„არტისტული ვნებანი" მიწოდებია იმ პორტრეტისთვის, რომელიც რამდენიმე წლის წინათ დავიწყე და რატომღაც დაუმთავრებელი დამრჩა...

ამასობაში ეროსი მანჯგალაძე 70 წლისა გახდა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვგრძნობთ უეროსობას!

„უარ და უარ სოფელოო", — უთქვამთ ჩვენს ძველებს, — უარ და უარ მიდის ჩვენი საქმე, მაგრამ ისე მაინც არ წახდება ქართველი, სანთელი არ აანთოს უდროოდ წასული კაცის სახელზე!...

...მაგონდება: მყუდრო, აღმართებიანი სოლოლაკი, ლერმონტოვის ქუჩის ბოლოდან ჰონქაძეზე ამავალი მწყობრი ქვის კიბე, ვაჟა-ფშაველას პატარა ქუჩა და იქვე, ახლოს, კოტე მესხის ქუჩაც. სწორედ ამ პატარა ქუჩაზე, აივნიან თბილისურ სახლში ცხოვრობდა ეროსი და, ალბათ, ასეთი შემთხვევითობა არ არის შემთხვევითი.

ავითვლი იმავ კიბეებს. ჩემს ბავშვობაში იქვე ახლოს სასაფლაო და ეკლესიაც იყო მიყუჟული, ავდივარ, მაგრამ ვიკარგები, როგორც სიზმარში...

ცხადი კი ასეთია: თბილისურ ქუჩებს ეროსის სახელობის ქუჩაც შეემატა — ამ ქუჩაზეა სამების ეკლესია და არც ეს არის ალბათ შემთხვევითი!

სამი დედმამიშვილი იყვნენ — რეზო, ეროსი და ბელა. ბელა ჩემი თანაკლასელი იყო, პირმთვარე და ღიმილიანი. მაშინდელი ეროსი — უფრო ფიქრიანი და მწუხარე მახსოვს. ამის მიზეზი შინმოუსვლელი ძმის ბედიც იყო და დედის მძიმე, ხანგრძლივი ავადმყოფობაც, რის გამოც, ლაღ ჭაბუკს ნაადრევად მოუწია ოჯახზე ზრუნვამ, ადრევე ამოუდგა მამას მხარში. ეს იყო რადიოში მისვლის საბაბიც.

ეროსი იტყოდა თურმე: მხიარული ადამიანები დარდიანები არიანო.

მართლაც, დარდიანიც იყო და მარტოსულიც. სიმარტოვემ დალუპა, — ოხრავს ბელა. ძალიან უთქმელი იყო. შენატროდა ჩემს ოჯახურ იდილიასო...

მორიდებულიც იყო, ხოლო ვინც დაუახლოვდებოდა, მასთან ენამახვილიც და კარგი მომლხენიც.

„ადამიანები მარტონი არიან დედამიწაზე", — დოსტოევსკის ეს ფრაზა განსაკუთრებით ჩამებეჭდა მეხსიერებაში ეროსის რადიოხმის წყალობით...

თეატრი იქცა ეროსისთვის ისეთივე სატრფოდ და ხატად, როგორადაც აკაკისთვის სამშობლო!

თეატრალური ინსტიტუტიდან ის უკვე მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფიით მოვიდა ჯერ ცხინვალის, მერე კი რუსთაველის სახელობის თეატრში, რომლის სცენაზეც ერთ-ერთი პირველი საჩინო როლი ივანე მრისხანე იყო (ვ. სოლოვიოვის „დიდი ხელმწიფე", 1948 წ., რეჟისორი აკაკი ვასაძე). რასაც მოჰყვა სრულიად განსხვავებული სცენური სახე პეშეკისა — იულიუს ფუჩიკის რეპორტაჟში — „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!", აგრეთვე ზიმზიმოვისა სუნდუკიანის „პეპოში". 1958 წელს დადგმული ამ სპექტაკლის აღდგენით 1978 წელს რეჟისორმა დიმიტრი ალექსიძემ უდიდესი სიხარული მიანიჭა მაყურებელს, ხოლო შემსრულებლებს თითქოს ახალგაზრდობა დაუბრუნდათ, ხალასი იუმორით თამაშობდნენ ზიმზიმოვს და ფეფოს ეროსი და მედეა ჩახავა — პირობითად ამ ხანაზე ნაშუადღევი ითქმის. მეც ამ წერილში შემოქმედებითი წარმატებებით აღსავსე პირველ პერიოდზე მეტად, რომელიც იყო ნაირსახეობის იშვიათი მაგალითი, ტრაგიკული და სახასიათო, გროტესკული თუ ღიმილიანი როლების მონაცვლეობით, რომლის კულმინაციადაც გვადი ბიგვას სცენური და ტელესახე იქცა, ნაშუადღევზე მსურს ვისაუბრო..

სავსე იყო მისი ხმა, მშვენიერი და დარბაისლური მისი მეტყველება, ყველგან იწვევდნენ, ყველგან სიყვარულით ხვდებოდნენ, უეროსოდ ზეიმი ზეიმად არ მიაჩნდათ. არც თბილისური შემოდგომის პირველ ზეიმს ჩაუვლია უეროსოდ. თეთრჩოხიანი თავადი ვანო ლაღად დადიოდა ძველი თბილისის ქუჩებში, — ასე არტისტულად, სასცენო კოსტიუმით ყვარებია თეატრიდან სახლამდე გასეირნება ვალერიან გუნიას. ეროსს ბევრი რამ ჰქონდა საერთო ქართული სცენის ამ რაინდთან და უმაწვილურად გაიხარა, ერთხელ გუნიას გვერდით რომ მოვიხსენიე მისი სახელი! ეს ასოციაცია ჩემში რობერტ სტურუას მიერ დადგმულ ალ. სუმბათაშვილი-იუჟინის „ღალატმა" გამოიწვია, რომელშიც ოთარ-ბეგის როლს ანსახიერებდა ეროსი მანჯგალაძე. ქართულ სცენაზე ვალერიან გუნიამ დაამკვიდრა ოთარ-ბეგობა — იგი უბადლოდ მიაჩნდათ. ჩვენს თაობას კი გიორგი დავითაშვილის ოთარ-ბეგი ახსოვდა და ნიჭიერმა ხელოვანმა იცოდა, რომ არაფერი არ უნდა განმეორებულიყო მასში იმ „ნაცნობი" ოთარ-ბეგისა, რომლის ხატიც დაგვიტოვა გიორგი დავითაშვილმა. ეროსმა გადაწყვიტა მისი ოთარ-ბეგი უფრო მკაცრი ყოფილიყო და უფრო მტკიცე.

ყველამ როდი მიიღო ეროსის ოთარბეგი, ეს ალბათ სპექტაკლისადმი არათანაბარმა დამოკიდებულებამაც განაპირობა; მე კი მის ერთ-ერთ საინტერესო სცენურ სახედ მიმაჩნია ეს როლი და, საერთოდ, ბოლო ხანებში ნათამაშევი და რატომღაც არამისეულად მიჩნეული ზოგიერთი როლიც ძალზე მტკივნეულად ჩამრჩა სულში მის ფიქრიან, მორიდებულ შეკითხვებთან ერთად, — როგორი იყო?

მე როგორი ვიყავიო კი არა, „ის" როგორი იყოო, ასე ხმადაბლა აღელვებულმა მკითხა „კავკასიურ ცარცის წრეში" რომ მოუხდა მისი უახლოესი მეგობრის რამაზ ჩხიკვაძის შეცვლა აზდაკის როლში. ასევე ჩამეკითხა ილიკოზე და თუმცა რობერტ სტურუას მიერ დადგმულ „მე, ბებია, ილიკოსა და ილარიონს" დიდხანს არ უცოცხლია სცენაზე, მგონია, რომ ეს სწორედ ნოდარ დუმბაძისეული გმირი იყო მთელი თავისი შინაგანი და გარეგანი ხასიათით, იუმორით და განწყობილებით, თითქმის ასაკი[illegible]ის წყალობითაც, სევდა-იუმორი საოცრად შეწონასწორებული იყო ამ გმირში და მას კახი კავსაძემაც (ილარიონი) კარგად შეუწყო ხმა.

ხოლო ის, რაც მან „კავკასიურში", აზდაკის როლით ვეღარ აღასრულა ბოლომდე, ბრწყინვალედ გადაიაზრა და განასრულა თენგიზ აბულაძის კინოსურათში „ნატვრის ხე", რომელშიც სამშობლოს სიყვარულით ქადაგადქცეულ, ლეონიძის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, შინგაზრდილ მწიგნობარს ანსახიერებს.

სურათ-სურათ გავიხსენებ მის მჭევრმეტყველებას.

ფართეფარფლიანი ქუდით და გრძელი პალტოთი დგას იგი გულხელდაკრეფილი პატარა ეკლესიის წინ და ჰპატიჟებს არა მარტო საქართველოს სიყვარულისთვის, მისი აღდგენისათვის აგულიანებს.

„შავ ზღვაში ჩავარდნილა მზე საქართველოსი"...

არტისტული ვნებით, პათოსით, ძველმოდური თეატრალური სილუეტით ეროსის გმირი საოცრად თანხმიერი ხდება იმ წრისა, იმ გარემოსი, რომელშიც იშლება მოქმედება გიორგი ლეონიძის მოთხრობების მიხედვით აგებული ამ ბრწყინვალე ფილმისა.

„... მეოცნებეთა დრო წავიდა, ახლა საქმეა საჭირო" — გუგუნებს ექსტაზში შესული ჩორეხი.

„აღსდექ საქართველო! აღსდექ საქართველო — ყველამ ერთხმად შევ...

...ალბათ უნდა ეთქვა შეეძახოთო, მაგრამ მიიხედ-მოიხედავს და სადღაა მისი „მრევლი".

— „ეჰ, პაპილა პრინცა"! — დახედავს ახლა დედამიწას, მოწყვიტავს ბაბუაწვერას და ამით წუთისოფლის წამიერობის ფილოსოფიასაც გამოხატავს, მაგრამ მის გმირში ოპტიმიზმი მაინც არის, რასაც ჩაღიღინებით გაგრძნობინებთ. ასე განშორდება ადგილს, სადაც ორიოდე წუთის წინ თერგივით ქუხდა!

ეროსის ნახევრად თეატრალურ, მოქართულემოლათინურე კინოპერსონაჟს მაღალი ზნეობის, განათლების, ერისკაცობის მისია აკისრია. იგი თითქოსდა პოეტისა არ იყოს, არც მიწისაა, არც ცისა! ის კაცია, ვინც მთელი სიცოცხლე ნანგრევებისა და თამარ დედოფლის ნაქოშარის, ქართლოსის საფლავისა და გორგასლის ქვის ძებნაში გაატარა...

ეს უცნაური და უსყიდი კაცი ახლობელი იყო ეროსის ბუნებისათვის და მან თავისი ენამჭევრი გმირი სახიერად და მოქმედებაში ფრიად შთამბეჭდავად წარმოსახა. აგერ, პეპელას ეპარება თავისი ფარფლებშელახული შლიაპით, რომლის ქვეშაც თუშური ქუდი ხურავს, — სამოსელის იმპროვიზაციაც ჩვეული ხერხია მისთვის, ამ დეტალით იგი თავისი გმირის ეროვნულ წარმომავლობას უსვამს ხაზს.

— „ერის დაცემა იწყება იქ, სადაც მთავრდება წარსულის ხსოვნა... საქართველოში უბრალო კ[illegible]რაკიც არ არის, რომ ზედ არ იდგეს ციხე-კოშკი და სიმაგრე".

მოქადაგე კაცი ყმაწვილებს ეკლესიის კედელთან დააჩოქებს, — ამის მაგალითს თავათვე აძლევს და ჩვენკენ ზურგშექცეული განაგრძობს მათ შეგონებას: „დაიხსომეთ ყმაწვილებო, — ქვეყნად მხოლოდ ერთი საქართველოა და ისიც ჩვენი!.." ამ სიტყვების პათოსი და ვნების ძაფი ეროსი მანჯგალაძის სულშია გამოტარებული.

ეროსის არტისტული სტიქია ადიდებული მდინარესავით არღვევდა კალაპოტს, ყოველგვარ ჯებირს და ახალ გასაქანს, ახალ სანავარდოს პოულობდა.

საერთოდ, რა საოცრად გრძნობდა, რა ღრმად განიცდიდა მსახიობი ქართულ სიტყვას და ფრაზას, რაოდენ სათუთად ინახავდა თურმე სულში ქართული პოეზიის მარგალიტებს, რომ მერე და მერე, მრავალგზისი გადაკითხვა-გააზრების შემდეგ აემეტყველებინა რადიოჩანაწერების მეოხებით რუსთაველი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი, ტიციანი, მუხრან მაჭავარიანი. მჯერა, მუხრანს, დღესაც ძველებური გზნებით წაიკითხავდა... მაგრამ განსაკუთრებით მელავნდება მისი ბუნება ტიციანის პოეზიაში — „ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს", — განა ასეთი არ იყო მისი შემოქმედებაც! თანამედროვე ქართული პროზაც როგორ გაითავისა — რეზო ჭეიშვილის, გურამ დოჩანაშვილის მოთხრობები. თითქოს ეროსის და გოგი გეგეჭკორს გულისხმობდა გურამ დოჩანაშვილი „ერთი რამის სიყვარულს" რომ წერდა, აბა გაიხსენეთ, ზურაბ კანდელაკის ტელესპექტაკლი „ერთი რამის სიყვარული, რომელსაც დაფარვა უნდა"...

და თუმცა დრამატული მსახიობის ყოფნა-არყოფნა მაინც სცენასთან არის დაკავშირებული, ფარდის ახდა-დახურვასთან (ადრე დაიხურა ეროსი მანჯგალაძის ცხოვრების ფარდა, მის სიკვდილს სცენაზეც კი არ ვყოფილვართ შეჩვეული!) — მას შემდეგ, რაც მიწიერ ცხოვრებას შორდება, ადამიანის ხელახალ განკაცებას, განსახიერებას ხმაში ვპოულობთ ასეთი გრძნობა გვეუფლება მხცოვანი აკაკი წერეთლის მიერ საუკუნის დამდეგს ჩაწერილი „განთიადის" მოსმენისას. ეროსის ხმა გამოგვაცოცხლებს ხოლმე, გვიქმნის ილუზიას, რომ ყველაფერი როდია ამაოება, ყველაფერი როდი ქრება და იკარგება სამყაროში...

მისი გარდაცვალების შემდეგ რომ მივედი, ბელამ ჯერ პატარა ოთახში შემიყვანა, — ეს იყო სამუშაო კუთხე, საძილე ოთახიც, სავსე სუვენირებით და მისი საყვარელი წიგნებით. თაროზე „ვეფხისტყაოსანი" იდო...

მაყურებელთა წერილებს გადავხედე — „თქვენ ჰემინგუეის როლი უნდა ითამაშოთო", — წერს მისი [illegible] კალანდაძით მოხიბლული უცნობი (გ. ხუხაშვილის „ზღვის შვილები"); ფოტოებში კი ჩემს სურათსაც წავაწყდი. — საიდან? მაყურებელთა დარბაზში ჩემთან ახლოს თენგიზ აბულაძე ზის. — აქ მეც ვარ, — ეროსისებური მორიდებით მეუბნება მისი სიძე, ბატონი ირაკლი. გამახსენდა: „ესმერალდას" პრემიერაზე ვიყავით (მერე ეს „უცნობი" სურათი ფოტორეპორტიორმა ედუარდ გიგილაშვილმა მეც მომართვა) კინომსახიობის თეატრის გახსნაზე.

სწორედ ბოლოდროინდელმა იჭვნეულობამ მიიყვანა ამ პატარა თეატრში ეროსი, — გულმა გაუწია მიხეილ თუმანიშვილისკენ, რომელზეც თავის უბის წიგნაკში ასე წერს:

„თითქმის 40 წელია, რაც მიშა თუმანიშვილი და მე ვიცნობთ ერთმანეთს, ვთანამშრომლობთ ერთმანეთთან და ვმეგობრობთ. **თითქმის 40 წელია, რაც ჩვენ ჩვენ დარგში გამოუსწორებელი თანამოაზრენი ვართ. ე. ი. ჩვენს საქმეში გვწამს სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და სხვა არაფერი.** სიმართლე, რომელიც მაყურებლამდე აღწევს მხოლოდ მსახიობის საშუალებით, რომელსაც წარმართავს, ხელს უწყობს და სულს ჩაბერავს რეჟისორი".

...და აქ უნებლიედ გუნიასეული გამოთქმა მახსენდება — **„მართლწარმოდგენა"**, მის დღიურებში რომ ვიპოვნე, როგორც თვალი პატიოსანი...

საფუძვლიანი სიმართლე, მოულოდნელი სცენები; მსახიობი ორგანული — ეს მთავარიაო, — დასძენს იგი და მაგალითად ასახელებს სპექტაკლებს „ადამიანებო, იყავით ფხიზლად", „ესპანელ მღვდელს", „როცა ასეთი სიყვარულია", „ანტიგონეს", „ესმერალდას", „საქმეს", „დონ-ჟუანს"... ვისაც არ გინახავთ კინომსახიობთა ახალი თეატრი, მოდით და ნახეთ, ეპატიჟება ახალ სამფლობელოში...

სულ ორიოდ-ორი როლი ითამაშა ამ თეატრის სცენაზე ეროსი მანჯგალაძემ — ტარიელ ხოშტარია, ლევან ჰელიძის „ესმერალდაში" (1978 წ.) და მურომსკი სუხოვო-კობილინის „საქმეში" (1979 წ.), გასამებაც კი ვეღარ მოასწრო...

ისე, როგორც პოეტის უკანასკნელ ლექსში, მსახიობის უკანასკნელ როლშიც გამოკრთის ფატალური გრძნობა, რაც ნებსით თუ უნებლიედ გადასახლდება შემოქმედის არსებიდან მის სცენურ იერსახეში. როლი, რომელსაც ვგულისხმობ, იმითაც გამოდგა საბედისწერო, რომ ეროსი მანჯგალაძეს იგი არ უთამაშნია, თუმცაღა, ბოლო ხანებში იმ როლით ცოცხლობდა, იმ „ახალ ნაცნობთან" ერთად ათენებდა და აღამებდა, მასთან ერთად ტეხდა პურს და იღებდა ხელში ჭიქას — უმეტესად კეთილ სულთა მოსახსენიებლად... ეს გმირი ამერიკელი მწერლის თორნთონ უაილდერის პიესიდან გამოეცხადა ეროსს და მისი თხოვნითვე მოკიდა ხელი მას რევაზ გაბრიაძემ, ოღონდ კი არ გადმოთარგმნა, გადმოაქართულა. რაც ვფიქრობ, სწორედაც ეროსის აქტიორულმა ბუნებამ და ხასიათმა უკარნახა დრამატურგს.

ასე რომ, ეროსი ფიქრობდა კაცზე, რომლისთვისაც სიცოცხლე უნდა გაენაწილებინა, მიღმა სამყაროში გადაეხედა, სამყაროში, რომელიც იმ პატარა ქალაქს წააგავდა, სადაც მოხუცი რეჟისორი და მისი ახლობლები ცხოვრობდნენ, ანდა ნაადრევად გადასახლდნენ პიესის გმირები...

ალბათ ძალზე განიცადა მან ეს სევდიანი ამბავი! იმდენჯერ გაითამაშა საკუთარ თავთან, იმდენად გაითავისა, რომ... გადაიწვა..

...დღესაც არ ვიცი, რატომ უნდოდა ასე უაილდერის „პატარა ქალაქი", — ესეც მითხრა მაშინ ბელამ...

მართლაც, საოცარია... ეს პიესა კი განხორციელდა, მაგრამ იგი ეროსი მანჯგალაძის ხსოვნას მიეძღვნა — ეროსის ნაცვლად კი მისი სიყრმის მეგობარმა გიორგი გეგეჭკორმა განასახიერა რეჟისორის როლი.

...ეროსი მანჯგალაძე 70 წლისაა! გარდაცვალების შემდეგ ფოტოალბომი უნდა გამოგვეცა და მინდოდა მასში ხმოვანი ფურცლებიც ყოფილიყო — რბილი ფირფიტა ეროსის პოეტური ალმანახითურთ.

...ნუთუ ეს უტოპიაა?!

• • •

13 წელია, რაც იგი ჩვენთან აღარ არის — ერთადერთი ტკივილი, რაც თავის პატარა სეხნიისგან განსხვავებით, დიდმა ეროსმა ადამიანებს მიაყენა. მისი სიკვდილი იყო... ეს სიკვდილი მუხის წაქცევას ჰგავდა...

...და მაინც, ქუხს [illegible] ხელებგადაპყრობილი, განახლებისკენ მოგვიწოდებს — აღსდექ საქართველო, აღსდექ საქართველოო!

...ამინ!..

ნანა ლვინეფაძე.

• • •

სურათზე: მიხეილ თუმანიშვილი და ეროსი მანჯგალაძე.

სიმონ კილაძის ფოტო.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

14 იანვარი
ქართული
თეატრის დღეა

ახალი ლაურეატები

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით, **კოტე მარჯანიშვილის** სახელობის პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტს **სანდრო მრევლიშვილს**, ბოლო წლების დადგმებისა და თეატრის **„ძველი სახლის"** შექმნისათვის.

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემიის ლაურეატები გახდნენ საქართველოს სახალხო არტისტი **სოფიკო ჭიაურელი** — ბოლო წლებში სცენური სახეების შექმნისათვის, **გოგი პიპინაშვილი** — კინომსახიობის თეატრის სპექტაკლში „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს" პარუნ ოსეფის როლისათვის. ამ პრემიის ლაურეატის წოდება მიენიჭა აგრეთვე **მალხაზ აბულაძეს** — ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლში „ჟანა დარკი" შარლის როლის შესრულებისათვის.

ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა თეატრმცოდნე **გიორგი ცქიტიშვილი** — გაზეთ „ახალ თაობაში" გამოქვეყნებული სტატიებისათვის „მკაცრი თამაშები", „ერთი ადამიანის თეატრი მურმან ჯინორიას შესრულებით" და **„ძველი პიესის ახალი სიცოცხლე"**.

დაასახელეს კონკურსის გამარჯვებულნი

ყოველწლიური კონკურსის „სეზონის საუკეთესო სცენური ნაწარმოები" გამარჯვებულები ჟიურის გადაწყვეტილებით გახდნენ:

სავტორო სპექტაკლისათვის: **მურმან ჯინორია** — სპექტაკლი **„ბედისწერა გვიხსნის მარად"**, რომელიც დაიდგა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის მცირე სცენაზე.

საუკეთესო რეჟისორული ნამუშევრისათვის: **შალვა გაწერელია**, რომელიც საქართველოს რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტში დადგმული სადიპლომო სპექტაკლისათვის **„დარისპანის გასაჭირი"** მივლინებით გაიგზავნება მოსკოვის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე. გამარჯვებული გახდა რეჟისორი **გიორგი მარგველაშვილიც**, რომელმაც კინომსახიობის თეატრში დადგა სპექტაკლი **„ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს"**.

სცენოგრაფიის დარგში საუკეთესოდ აღიარეს **გიორგი გუნია** — ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატულ თეატრში სპექტაკლების **„ლამარასა"** და **„ჟანა დარკის"** მხატვრული გაფორმებისათვის. სპექტაკლების მუსიკალური გაფორმებისათვის — **იოსებ კეჭაყმაძე**, რომელმაც დაწერა მუსიკა ამავე თეატრის სპექტაკლისათვის **„ლამარა"**.

სამსახიობო შესრულებისათვის კონკურსის გამარჯვებულები გახდნენ **თამარ მამულაშვილი** — პელაგიას როლის შესრულებისათვის სადიპლომო სპექტაკლში **„დარისპანის გასაჭირი"** და **ბადრი ბეგალიშვილი** — გაბოს როლის შემსრულებელი ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრის სპექტაკლში **„მეწაღე გაბო"**. ამავე ნომინაციაში გამარჯვებულები გახდნენ ახალგაზრდა მსახიობები **თინა ქობონელიძე**, რომელმაც შეასრულა ქეთრინის როლი და **მაია ცეცხლაძე**, რომელმაც მთავარი გმირის სახე შექმნა ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის დრამატული თეატრის სპექტაკლში **„ჟანა დარკი"**.

საქინფორმი.

დაზუსტება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა სტატია — **„ცხოვრება სიკეთით განვლო"**, რომელშიც მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს: **„ბატონი გრიგოლი დაიბადა 1903 წელს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჯუნჯუათში"... შემდეგ როგორც ტექსტშია.**

ჩემი თანამედროვე

ალგებრა — ისტორია — წარსულის ცოდნა

შარშანწინ თავისი ახალი წიგნი მისახსოვრა გურამ ჩაჩანიძემ...

უჩვეულოა ეს წიგნი როგორც გარეგნულად, ისე შინაარსით, ყდა — ორ ზღვას შუა მოქცეული ქვეყნის შინდისფერი რუკა — განტოლებებით აუჭრელებია ავტორს. შიგნით კი იბეჭდება ალგებრისა და ანალიზის საწყისების საშუალო სკოლის პროგრამით გათვალისწინებული უამრავი მასალა.

რაც მთავარია, ამ მასალების (ამოცანების) შინაარსი მოიცავს საქართველოს ისტორიის ეპიზოდებს, რითაც მოსწავლეს საშუალება ეძლევა მშობელი ერის ისტორიასაც გაეცნოს მათემატიკის შესწავლის პროცესში. ეს კი, ცხადია, შემეცნების გარდა, წიგნს მოსწავლეთა პატრიოტული და ეროვნულ-მოქალაქეობრივი აღზრდის ფუნქციასაც ანიჭებს.

აი, ვნახოთ მრავალთაგან ერთ-ერთი მაგალითი:

„ქართლში ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა მურვან ყრუ, „შემუსრნა ყოველი ქალაქი და უმრავლესნი ციხენი ყოველთა საზღვართა ქართლისათა". მურვან ყრუს შემოსევის თარიღი სამნიშნა რიცხვია, რომლის ციფრთა ჯამი ტოლია 15-ის,

იპოვეთ მურვან ყრუს შემოსევის თარიღი, თუ ამ რიცხვის პირველი ციფრი 2 1/8-ჯერ მეტია მის მომდევნო ციფრზე"...

საინტერესოა, არა?

მახსოვს, რა დიდი გამოხმაურება მოჰყვა ამ უნიკალურ კრებულს. რეცენზენტებმა ლამის ცაში აიყვანეს ავტორის ნიჭი და მამულიშვილური შემართება...

ბევრმა გაიცნო გურამ ჩაჩანიძე.. და თუ მაშინ, რატომღაც, ვერ მოვახერხე პრესის საშუალებით ერთი-ორი თბილი სიტყვა მეთქვა ჩემი მეგობრისთვის, დღეს საშუალება მეძლევა გამოვასწორო ეს „შეცდომა", ანუ მოგითხროთ გურამის ამჟამინდელ უაღრესად მნიშვნელოვან საქმიანობაზე.

* * *

იგი საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. საკანდიდატო დისერტაცია გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტში დაიცვა. აირჩიეს დოცენტად. სადოქტორო დისერტაციას უკვე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იცავს. არჩეულია ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორად, სადაც დღემდე მოღვაწეობს.

1994 წლის მაისში გურამ ჩაჩანიძეს აირჩიეს ინფორმაციის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსად. არის პარიზის ქართულ-ევროპული ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის სპეციალური პრემიის ლაურეატი. მისი ამჟამინდელი სამეცნიერო მიმართულებაა „სასწავლო პროცესების მართვის ინტელექტუალური სისტემები". ოთხი წელია ამავე მიმართულებით ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამეცნიერო-პედაგოგიურ სკოლა-სემინარს...

წიგნი — „ალგებრა და საქართველოს მატიანე" რომ მისახსოვრა, ვკითხე: რამ შთააგონა მისი დაწერა-მეთქი. გურამმა ასე მიპასუხა:

„აბა გაიხსენე ჩვენ რომ სკოლაში მათემატიკას ვსწავლობდით, იქ ხომ ეროვნული არაფერი იყო?.. ახლა, ეროვნულს რომ ვამბობ, ისე არ გამიგო, მე სხვაგან არ ვიყურებოდე. მოსწავლე რომ თავის სამშობლოს კარგად გაეცნობა, მერე უფრო გაუადვილდება სხვა ქვეყნის შეცნობა, ანალიზი, კრიტიკა, თვითკრიტიკა... ამ მიმართებით, ჩემს წიგნში არაფერი არც „გატეხილია" და არც „გადაღუნული" — ზომიერი დოზით დაფიქსირებული და მათემატიკის საპროგრამო მასალასთან შერწყმულია ჩვენი ერის ისტორიული და კულტურული ცხოვრების წარსული. ამ წიგნზე მომუშავე მახვილი გონება ადვილად „შეიცნობს", თუ საიდან მოვდივართ და იმ გზასაც დასახავს, საით უნდა განვაგრძოთ მოძრაობა. ისე კი, ამ წიგნის დაწერა მომავალი თაობის აღზრდაზე ოცნებამ შთამაგონა. კარგად ამბობს ოსკარ უაილდი: „ქვეყანა რომ ისუნთქო, საჭიროა ოცნება". ალბათ, მალე გამოვა ჩემი კიდევ ერთი წიგნი — „პირამიდიდან სვეტიცხოვლამდე", სადაც გეომეტრიული ამოცანებია დაკავშირებული ქართულ სიმბოლიკასთან (გერბი, დროშები და ა. შ.), ქართულ ხუროთმოძღვრებასთან (ეკლესიები, ტაძრები, ციხე-გალავნები, ძველი საცხოვრებელი სახლები), ჭედურ ხელოვნებასთან, ხატებთან...

* * *

ამ ცოტა ხნის წინათ გურამ ჩაჩანიძემ ბატონების — როინ მეტრეველის, რამაზ ხუროძისა და ავთანდილ ჩალაძის მხარდაჭერით დააფუძნა მეცნიერებათა აღორძინების ფონდი „ინტელექტი". — ეს არის საქველმოქმედო საზოგადოებრივი გაერთიანება და უნდა იარსებოს შემოწირულობების ხარჯზე, — განმარტავს გურამი, — რა დასამალია და, ჩვენი დუხჭირი ცხოვრების პირობებში, სამეცნიერო ინტელიგენციის უმრავლესობა განიცდის არა მარტო საარსებო წყაროს უკმარისობას, არამედ ინფორმაციულ შიმშილს, და, რაც მთავარია, მორალური მხარდაჭერის დიდ დეფიციტს. სწორედ ამ ვაკუუმის ამოსავსებად დავაარსე ფონდი, თუმცა, აგერ, ერთი წლის განმავლობაში სასიკეთო ვერაფერი ვნახე — სამთავრობო და კერძო სტრუქტურები ქველმოქმედებისაგან არათუ შორს დგანან, საერთოდ ინდიფერენტულად არიან განწყობილი... მე რომ ჩამოვთვალო, ვის და რამდენჯერ მივმართე ოფიციალური და „მეგობრული" თხოვნით, რათა ფონდისათვის დახმარება გაეწიათ, გაკვირვებულიც დარჩები, გაკვირვებული იმიტომ, რომ იმ ხალხისაგან ზოგ-ზოგი მილიონების გამორჩენისათვის დღეს ციხეში ზის, მაშინ კი თითქოს ერთი ცენტის შემოწირვის საშუალება არ ჰქონდათ.. არადა, ფონდს აქვს გადასაწყვეტი ისეთი საწესდებო ამოცანები, რომლის განხორციელებაში ხელშეწყობა, მართლაც რომ სალვთო საქმე იქნებოდა. მაგალითად, გვსურს მოვაწყოთ და დავაფინანსოთ სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, სტუდენტების, ასპირანტებისა და მეცნიერ-მუშაკების საზღვარგარეთული მივლინებები (სხვათა შორის, ფონდს ჰყავს მიზნობრივი ასპირანტები), გამოვცეთ სამეცნიერო შრომები (სამი კრებული უკვე გამოვიდა, მეთოდური მითითებები, სახელმძღვანელოები, გვსურს გავმართოთ და დავაფინანსოთ აგრეთვე ღვაწლმოსილ პედაგოგთა და მეცნიერთა საიუბილეო სესიები...

* * *

ფონდი მაინც არსებობს, ის კი არა, სპონსორობაც კი გაუწია რამდენიმე მნიშვნელოვან საქმეს, მაგალითად, დააფინანსა მოსწავლე ახალგაზრდობის რესპუბლიკური სახლის მიერ ჩატარებული კონკურსი კომპიუტერულ პროგრამირებაში. ნაწილობრივ დააფინანსა ჟურნალი „არტანუჯი". ჩაატარა ორი საერთაშორისო და ერთი რესპუბლიკური სამეცნიერო პედაგოგიური კონფერენცია და ა. შ.

ახლა კი მივადექით თემას, რომელმაც შეიძლება ითქვას, განაპირობა ამ წერილის დაწერა. ეს არის ფონდ „ინტელექტის" საგამომცემლო საქმიანობა. არსებობის მცირე დროის მანძილზე გამომცემლობამ არაერთი მხატვრული თუ სასწავლო სახელმძღვანელოს გამოცემა მოახერხა, მოახერხა თითქმის დაუჯერებელი რამ — ქართული სახელმძღვანელოების გამოცემა რესპუბლიკის არაქართული სკოლებისათვის. ამ სახელმძღვანელოებს უსახსრობისა და უქაღალდობის გამო ვერ სცემდა გამომცემლობა „განათლება". ფონდმა განათლების სამინისტროს მხარდაჭერით ითავა სახელმძღვანელოების გამოცემა, გრიფი — **გამომცემლობა „განათლება"** დატოვა წიგნებზე, ხოლო ყდას მიაწერა — **„სახელმძღვანელოს გამოცემა უზრუნველყო მეცნიერებათა აღორძინების ფონდის გამომცემლობა „ინტელექტმა"**.

და, ერთი მეორის მიყოლებით გამოვიდა: „ქართული ენა" (სომხური სკოლის III კლასის სახელმძღვანელო), „ქართული ენა" (რუსული სკოლის V კლასის სახელმძღვანელო), „არმაღანი" (ქართული ლიტერატურის ქრესტომათია აზერბაიჯანული სკოლებისათვის), „ქართული ენა" (აზერბაიჯანული სკოლის V კლასის სახელმძღვანელო), „ჩვენ ვსწავლობთ ქართულ ენას" (არაქართული სკოლის II კლასის სახელმძღვანელო), „საქართველოს ისტორია" (აზერბაიჯანული სკოლის VIII კლასისათვის), „საქართველოს ისტორია" (სომხური სკოლის VIII-IX კლასისათვის).

მარტო გურამი რას გასწვდა ამ საქმეს, რომ არა გამომცემლობის დირექტორი, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი, გულმხურვალე მამულიშვილი, დოცენტი ქახმეგ კუდავა, აღმასრულებელი დირექტორი, ფონდის „დამრტყმელ" ძალად წოდებული ბესარიონ საღარაძე და, საერთოდ, მთელი კოლექტივი, რომელსაც ზედმიწევნით აქვს შეგნებული თავისი საქმიანობის მნიშვნელობა.

გურამ ჩაჩანიძე ჩემთან საუბარში ხშირად ახსენებდა ქვემო ქართლის სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბატონ ლევან მამალაძეს, აღნიშნავდა საერთოდ მის უანგარო დახმარებას, კერძოდ: ქვემო ქართლის არაქართულენოვანი სკოლებისათვის გამოსაცემი სახელმძღვანელოების დაფინანსებას...

* * *

დაანგარიშება გაუჭირდებოდა თუ რა?.. გურამი მაწვდის თაბახის რამდენიმე ფურცელზე კომპიუტერით ამობეჭდილ ცხრილს, რომელზეც თვალნათლივ არის ნაჩვენები საქართველოს რომელ რაიონში რამდენი არაქართველი მოსახლე და, ამის მიხედვით, რამდენი არაქართული სკოლაა, სად რამდენი ცალი სახელმძღვანელოა საჭირო არაქართველი ბავშვებისათვის და ა. შ. იმედია, ფონდს დახმარების ხელს გაუწვდის მთავრობა და ცალკეული კერძო სტრუქტურა.

— ალბათ მალე შევხვდები ბატონ ედუარდ შევარდნაძეს, — მეუბნება გურამი, — უცებ მოვუყვები ჩანაფიქრს, გავაცნობ პროექტს, რომელიც ითვალისწინებს ქვემო ქართლის ქართულენოვანი უნივერსიტეტის დაარსებას, იქ საუნივერსიტეტო ქალაქის გახსნას და კიდევ რაღაცრაღაცეებს...

მგონია, რომ ასეთი საშვილიშვილო საქმისათვის არ დაიზარებს ბატონი ედუარდი ჩემთან შეხვედრას და მხარდაჭერას.

...**და**, ფაცი-ფუცით მემშვიდობება, ჩქარობს გურამი, დრო არ იცდის, ათასი საქმეა... ჩვენ ისედაც დავაგვიანეთ, ჩამოვრჩით.:. ახლა ყველაფერი უნდა ვიღონოთ, შეცდომებზე უნდა ვისწავლოთ, რათა მამებმა სამშობლო ღირსეულად დავუტოვოთ შთამომავალთ, თორემ აღარაფერს გვაპატიებს აღარც შვილი და აღარც ძირი.

ვილენ მარდალეიშვილი.

რა უქარნახა საბაზრო ეკონომიკამ ელექტროვაგონშემკეთებელ ქარხანას

საქართველოს რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტს თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის ერთი მილიონი ლარი მართებს. ეს მაშინ, რაც უკვე ნახევარი წელიწადია, ქარხანა შედის ამ უწყების სტრუქტურაში. რაც შეეხება საწარმოს რესპუბლიკის გარეშე მევალეებს, მათგან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ აზერბაიჯანი, რომელსაც დღემდე არ ძალუძს ქარხანას გადაურიცხოს 380 მილიონი მანეთი ამ სახელმწიფოს რკინიგზის უწყების კუთვნილი ვაგონების შეკეთებისათვის. ეს ინფორმაცია საქინფორმის კორესპონდენტს **თენგიზ ჩხიკვაძეს** მიაწოდა ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის დირექტორმა **ტარიელ ჯაბაურმა**.

საწარმოს მუშაკთა რიცხვი ხუთ-ექვს წელიწადში 1700 კაციდან რამდენიმე ასეულამდე შემცირდა. ქარხნის ხუთი საამქრო კი (მათი რიცხვი სულ ათია) იჯარით გადაეცა კომერციულ ფირმებს, რომლებიც ძირითადად ასრულებენ ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის შეკვეთებს, და, იჯარის საზღაურის გარდა, ქარხანას ურიცხავენ თავიანთი მოგების 15 პროცენტამდე. როგორც მან თქვა, ამან საწარმო ფინანსური კრახისაგან იხსნა.

უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოს ხელმძღვანელობამ საჭიროდ მიიჩნია ის, რომ ფირმა „კოდორს" მოეხდინა ქარხნის საწვავის რეზერვუარებისა და მიმდებარე ტერიტორიის გარკვეული ნაწილის პრივატიზაცია. მათ უნდა გადაედგათ ასეთი ნაბიჯი იმის გამო, რომ ეს ტევადობები საწარმოს არ სჭირდებოდა. ამჟამად „კოდორი" მინი ნავთობბაზას წარმოადგენს.

ამ ფირმების მფლობელებს ხელმძღვანელი პოსტები უჭირავთ ქარხნის გამგეობის აპარატში და შესაბამისად ამისათვის ყოველთვიურ ხელფასსაც იღებენ.

საქინფორმი.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1996 წლის 13 იანვრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები:

ავსტრალიური დოლარი	0.9221	ლარი
ავსტრიული შილინგი	0.1219	ლარი
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	1.9282	ლარი
10 ბელგიური ფრანკი	0.4225	ლარი
გერმანული მარკა	0.8574	ლარი
ჰოლანდიური გულდენი	0.7658	ლარი
დანიური კრონი	0.2216	ლარი
1000 იტალიური ლირა	0.7869	ლარი
კანადური დოლარი	0.9145	ლარი
ნორვეგიული კრონი	0.1946	ლარი
აშშ დოლარი	1.2400	ლარი
ფინური მარკა	0.2849	ლარი
ფრანგული ფრანკი	0.2510	ლარი
შვედური კრონი	0.1875	ლარი
შვეიცარული ფრანკი	1.0639	ლარი
10 იაპონური იენი	0.1194	ლარი
ეკიუ	1.5808	ლარი
10 ესპანური პესეტა	0.1019	ლარი
100 ბერძნული დრაჰმა	0.5211	ლარი
ირლანდიური გირვანქა	1.9797	ლარი
10 ისლანდიური კრონი	0.1904	ლარი
ქუვეიტური დინარი	4.1444	ლარი
1000 ლიბანური გირვანქა	0.7779	ლარი
100 პორტუგალიური ესკუდო	0.8251	ლარი
სინგაპურული დოლარი	0.8691	ლარი
10 000 თურქული ლირა	0.2075	ლარი
ეგვიპტური გირვანქა	0.3651	ლარი
1000 რუსული რუბლი	0.2400	ლარი
ლიტვური ლიტი	0.2797	ლარი
ლატვიური ლატი	2.0909	ლარი
10 ესტონური კრონი	0.9668	ლარი
100 000 უკრაინული კარბოვანეცი	0.6812	ლარი
10 ყაზახური ტენგე	0.1735	ლარი
მოლდოვური ლეი	0.2464	ლარი
ყირგიზული სომი	0.1022	ლარი
10 000 ბელორუსული მანეთი	0.9576	ლარი
10 უზბეკური სუმი	0.8233	ლარი
1000 აზერბაიჯანული მანათი	0.2496	ლარი
100 სომხური დრამი	0.2784	ლარი

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკი.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ვილი კაჭარავას მეუღლის

ლეილა ბალავაძე-კაჭარავას

გარდაცვალების გამო.

საქართველოს პარლამენტი თანაგრძნობას უცხადებს პარლამენტის ყოფილ წევრს დავით პაიჭაძეს მამის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, პროფესორ

გიორგი (გიგა) პაიჭაძის

გარდაცვალების გამო.

კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება ღვაწლმოსილი მუშაკის, რესპუბლიკის დამსახურებული ექიმის, უმაღლესი კატეგორიის კურორტოლოგ-კარდიოლოგის

ნინო თევდორეს ასულ ცხომელიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

გახსენება

ლევან ფირცხელიანი



ლევან!

ხვალ შენი დაბადების დღეა, 23 წელი გისრულდება. ტკივილი გვახრჩობს, ახლოდან რომ ვერ გეფერებით, უკვე ჩამოყალიბებული ვაჟკაცი იქნები. შენი ძლიერი სულის ამბავი რომ ვიცით, ტანჯვა-წამებაც ვერაფერს დაგაკლებდა!..

ზოგი მთელი ცხოვრებაც ვერ ახერხებს გამორჩეულის სახელი დაიმკვიდროს, შენ კი, სვანეთის ულამაზეს მთებში გაზრდილი მზეჭაბუკი ლეგენდად 19 წლის ასაკში იქეცი. ამის დასტურად საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაც იკმარებს: „სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამორჩეული გმირობისა და მამაცობისათვის" დაჯილდოვდი ვახტანგ გორგასლის მე-2 ხარისხის ორდენით. ოღონდ, აქ ერთი, ჩვენთვის მტკივნეული და დაუჯერებელი რამ არის მიწერილი — სიკვდილის შემდეგ. არა, ლევან, ნამდვილად ვერ დავიჯერებთ, რომ შენ ცოცხალი აღარა ხარ — ასე გვგონია, დროებით დავშორდით ერთმანეთს და უფალი მალე შეგვახვედრებს. ჩვენ გვჯერა სასწაულის!..

19 წლის ასაკში პროფესიის არჩევაც ვერ მოასწარი, სპორტში კი დიდ მომავალს გიწინასწარმეტყველებდნენ. ალბათ, სპორტული ყინის ბრალია შენი ახალგაზრდული ახირებაც — დაცემულ გაგრაში შენი ძმა ბადრი და შენი უახლოესი მეგობრები არ დატოვე, სხვა ბიჭებთან ერთად უკან შემოგრიალდი, ვინ იცის, ალბათ, ქალაქის დაბრუნების და მტერზე გამარჯვების იმედით...

ძნელია ვანუგეშოთ შენი მშობლები, ჩვენც ძალიან განვიცდით უშენობას.

გელოდებით!

მეგობრები.

დავით მეტრეველი

ზემო რაჭა კარგად იცნობდა თავის უბეში გაზრდილსა და დავაჟკაცებულს. მან ცხოვრების და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სახელოვანი გზა განვლო. ონის პირველი საშუალო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა თბილისში, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე განაგრძო.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე **დავით მეტრეველი** სამთო საქმიანობას დაშქესანის და შემდეგ „ტყვარჩელშახტმშენის" მაღაროებში შეება. ორი წლის შემდეგ იგი ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოში გადადის სამუშაოდ, სადაც დაჰყო თვრამეტი წელიწადი და განვლო გზა სამთო საამქროს ოსტატობიდან დირექტორობამდე. იგი აქ ჩამოყალიბდა როგორც სამთო საქმის დიდი სპეციალისტი, ფართოდ ერუდირებული ინჟინერი, ორგანიზატორი და მრავალ სიახლეთა ავტორი, რომელსაც დიდი აღიარება ჰქონდა არა მარტო „სამთო ქიმიის" სისტემაში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს სისტემაში. აქტიურად მონაწილეობდა ევროპისა და სხვა კონტინენტებზე სამთო საქმის ხაზით გამართულ სიმპოზიუმებში.

დავით მეტრეველი ერთ ხანს ჯერ რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ საქართველოს კომპარტიის ონის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა.

როდესაც 1991 წლის 29 აპრილს მომხდარმა მიწისძვრამ ონის რაიონი თითქმის მთლიანად დაანგრია, მაშინ ყველაზე მეტად საჭირო შეიქმნა დავით მეტრეველის უნარი და გამოცდილება მშობლიური კუთხის აღსადგენად. თითქმის არნახულ დროში (ორი-სამი თვე) მისი ხელმძღვანელობით აშენდა არამადნეული მასალების ქარხანა და სიცოცხლის ბოლომდე მისი თავკაცი იყო. მისი შრომის დაფასების ნიშანია ის მრავალი ორდენი და მედალი, რომელიც მას ჰქონდა.

ყველგან ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავდა. მისგან სწავლობდნენ ახალგაზრდები. მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობის მქონეს, პრინციპულსა და პირუთვნელს, აქტიურ საზოგადო მოღვაწესა და ადამიანებზე მზრუნველს. დიახაც, ძალზე მოისაკლისებს და სამუდამოდ დიდ პატივს მიაგებს თავისი რაიონი.

ამხანაგების ჯგუფი.

ხსოვნა

ლევან ავალიანი

ქართულმა სამეცნიერო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. მოულოდნელად გარდაიცვალა საქართველოს სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლევან ვასილის ძე ავალიანი.**

დაიბადა 1917 წელს ქ. ზესტაფონში, მოსამსახურის ოჯახში. 1935 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1940 წელს. იმავე წელს იგი გაწვეული იქნა სავალდებულო სამხედრო სამსახურში დასავლეთ უკრაინაში და ასრულებდა სამხედრო ჰოსპიტლის ქირურგიული განყოფილების ორდინატორის მოვალეობას.

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ 1941-44 წლებში იგი მუშაობდა საფაკულტეტო ქირურგიის კლინიკაში, რომელსაც აკადემიკოსი კონსტანტინე ერისთავი განაგებდა. ამ უკანასკნელის რეკომენდაციით ახალგაზრდა ექიმი ლ. ავალიანი 1944 წ. დეკემბრიდან დაინიშნა ასისტენტად ბავშვთა ქირურგიის კათედრაზე, რომელსაც განაგებდა ბავშვთა ქირურგიის ფუძემდებელი საქართველოში პროფესორი მიხეილ კოკოჩაშვილი. აქედან მოყოლებული ლ. ავალიანის პრაქტიკული, პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობა დაკავშირებულია ბავშვთა ქირურგიის კათედრასთან. პროფესორ მ. კოკოჩაშვილის გარდაცვალების შემდეგ, 1963 წლიდან 1990 წლამდე იგი ხელმძღვანელობდა ამ კათედრას, ხოლო ბოლო 5 წელი იგი ამ კათედრის პროფესორი იყო. ერთდროულად, 1959-1973 წლებში ლ. ავალიანი ასრულებდა სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის დეკანის მოვალეობას, და დიდი წვლილი შეიტანა ექიმ-პედიატრთა მომზადების საქმეში.

პრაქტიკულ საექიმო მუშაობასთან ერთად იგი დიდ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა. არ დარჩენილა ბავშვთა ქირურგიის არცერთი მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელზედაც ლ. ავალიანს თავისი სიტყვა არ ეთქვა. მის კალამს ეკუთვნის 150-ზე მეტი დასტამბული შრომა, მათ შორის 12 მონოგრაფია.

ლ. ავალიანს დიდი წვლილი აქვს შეტანილი ბავშვთა ქირურგიული სამსახურის სრულყოფის საქმეში. უკანასკნელი 30 წელი იგი იყო საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ბავშვთა ქირურგი. ამ პერიოდში დედაქალაქში გაიხსნა ბავშვთა უროლოგიური, ორთოპედიულ-ტრავმატოლოგიური, პულმონოლოგიური, ნეიროქირურგიული, ოფთალმოლოგიური და ყბა-სახის ქირურგიის განყოფილებები. ბავშვთა ქირურგიის კათედრის ბაზაზე 1965 წლიდან შეიქმნა ბავშვთა ქირურგიის რესპუბლიკური ცენტრი, რომელსაც იგი სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა.

ლ. ავალიანის ინიციატივით 1976 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს ბავშვთა ქირურგების სამეცნიერო საზოგადოება, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა 1994 წლამდე.

თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში ლ. ავალიანის ძალისხმევით 1965 წელს ჩამოყალიბდა ბავშვთა ქირურგიის კურსი და შემდგომ კათედრა, რომელსაც იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა, ხოლო შემდგომ თავის მოწაფეებს ჩააბარა.

ლ. ავალიანის ხელმძღვანელობით მომზადებულია 8 მეცნიერებათა დოქტორი და 17 მეცნიერებათა კანდიდატი, რომლებიც დღეს მოღვაწეობენ ბავშვთა ქირურგიის კათედრასა და რესპუბლიკის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებში. იგი სრულიად დამსახურებულად აირჩიეს რესპუბლიკის სამედიცინო-ბიოლოგიური აკადემიის ნამდვილ წევრად.

დასანანია, რომ წავიდა ჩვენგან ყველასათვის ხელმისაწვდომი, კეთილი, თავმდაბალი, უპრეტენზიო მეცნიერი და ექიმი კლინიცისტი, მისი სიკვდილი აუნაზღაურებელი დანაკლისია რესპუბლიკის მოსახლეობისათვის და ექიმთა საზოგადოებისათვის.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, თბილისის სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველოს სამედიცინო ბიოლოგიური აკადემია, საქართველოს ბავშვთა ქირურგების სამეცნიერო საზოგადოება, საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოება.

ნუგზარ მაღლაკელიძე

გარდაიცვალა შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილის უფროსი, მაიორი **ნუგზარ დავითის ძე მაღლაკელიძე.**

დაიბადა 1944 წელს ქ. ზესტაფონში. 1978 წელს დაამთავრა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1961 წელს ქ. ზესტაფონში. წლების განმავლობაში მუშაობდა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე რუსთავსა და თბილისში. 1991 წლიდან, დღიდან შინაგანი ჯარების დაარსებისა, იგი მუშაობას იწყებს მთავარ სამმართველოში სამეურნეო ნაწილის უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. ამ პერიოდიდან მოყოლებული წლების განმავლობაში მას მუშაობა მოუხდა სხვადასხვა თანამდებობაზე, რომელსაც ასრულებდა პირნათლად და მაღალპროფესიულად. დიდი წვლილი მიუძღვის შინაგანი ჯარების ჩამოყალიბებისა და სრულყოფის საქმეში.

გამოცდილი ოფიცრისა და ღირსეული მამულიშვილის მაიორ ნუგზარ მაღლაკელიძის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრებისა და თანამშრომლების გულში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მთავარი სამმართველო.

მეუღლე დიმიტრი თოფურიძე, შვილები გიზო, მურიკო, აგული თოფურიძეები, და ეთერი, ძმა მოკელი ჩაჩავები, შვილიშვილები ეკა, მაკა, დიმა, გიორგი, სანდრიკა თოფურიძეები, რძლები ქეთო კორსავა, ლირა ჭანტურია, ირინა ჟორდანია, ალექსანდრა ბასილაია, სიძეები ლევან ორმოცაძე, გიორგი ბალდასაროვი, კახა კუნელაური, მამუკა მაჩაიძე, შვილთაშვილები ბერდია კუნელაური, მეგი მაჩაიძე, დისწულები ცისანა, დემური გაბისონიები, გია ორმოცაძე, ძმისწული ბაჩუკი ჩაჩავა, მაზლიშვილები როლანდი, კარლო თოფურიძეები, მულიშვილი მზია ბერიაშვილი, მძახლები ეთერ ჭანტურია, ნაზი ჟორდანია, ლილი ბასილაია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ტატიანა (ბუბული) ერასტოს ასული ჩაჩავა-თოფურიძე

პანაშვიდი 14, 15 I, 3 ს., გამოსვენება 16 I, 2 ს. ცოტნე დადიანის 148 (IV სადარბაზო) ბინა 26.

მეუღლე ლალი ზურმუხტაშვილი, შვილები გიორგი, ლევან გოგოლაძეები, მამა ნიკოლოზი, ძმა გოგი, და ანა, ბიცოლა კუკური მინდიაშვილი, რძლები რუსიკო ლვალაძე, ელეონორა ტაბატაძე, სიძე ვაჟა როსტიაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ვაჟა ნიკოლოზის ძე გოგოლაძე

გამოსვენება 13 I, 2ს. ვარკეთილი 3, II მიკრორაიონი, VII კორპუსი (I სადარბაზო) ბინა 10.

მეუღლე ცისო ბჟალავა, და ლია კოტრიკაძე, შვილები გიორგი, ზუკა კოტრიკაძეები, შვილიშვილები ნანიკო, ლუკა, რძლები თამრიკო მეძმარიაშვილი, თიკა კუტუბიძე, მამიდა ანა კოტრიკაძე, თამარ მიქაბერიძე, ბიძაშვილები დემურ მიქაძე, ნაზი, გუგა, ნუკრი კოტრიკაძეები, მამიდაშვილი გია გურასპაშვილი, დეიდაშვილები ლამარა, ნანი, ტარიელ ჭანტურიები, ცუცუნა, ციალა, მარგალიტა თავაძეები, ცოლისდა ლია ბჟალავა, მძახლები ნუგზარ მეძმარიაშვილი, რამაზ კუტუბიძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ომარ გრიგოლის ძე კოტრიკაძე

პანაშვიდი 14, 15 I, 4 ს., გამოსვენება 16 I, 2 ს. მოსაშვილის ქ. №3 (II სადარბაზო).

იყიდება

ისნის რაიონში, ქ. ჩოლოყაშვილის (ყოფილი 5 დეკემბრის) ქუჩაზე № 52-ში, კაპიტალური, არასტანდარტული სახლის მესამე სართულზე, მაღალჭერიანი (3,4 მ), სამოთახიანი ბინა ლოჯიითა და ორი აივნით, მუხაში შესრულებული, კაპიტალური რემონტით (საჭიროებს მხოლოდ შპალერის შეცვლას), ტელეფონით, გარაჟით, მცირე დანახარჯებით 40 კვ. მეტრამდე დამატებითი ფართის მიშენების პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით.

ტელეფონი: 38-89-14.

მორიგე რედაქტორი ანზორ ბასილაია.

გამომცემელი — შპს „პრესა"
რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-73-24.
მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.